# USAID მოკვდა! არასამთავრობოებს მარკო რუბიო ამხელს!



**მარკო რუბიო** საგანგებო წერილში აღნიშნავს, რომ გლობალურ ასპარეზზე ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მეტად სარგებლობენ აშშ-ის გულუხვობით, როგორც წესი, არ აქვთ საპასუხო რეაგირება.

„მაგალითად, 2023 წელს სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებმა შეერთებულ შტატებთან ერთად, გაერო-ში მნიშვნელოვან რეზოლუციებზე მხოლოდ 29 პროცენტში მისცეს ხმა, მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლიდან 165 მილიარდი დოლარის დაფინანსება მიიღეს. ეს მსოფლიოში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. იმავე პერიოდში, 89 მილიარდ დოლარზე მეტი იქნა ინვესტირებული ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც აშშ-მ კეთილგანწყობის უფრო დაბალი რეიტინგი მიიღო, ვიდრე ჩინეთმა, ყველა ქვეყანაში, გარდა მაროკოსი.

სააგენტოს მიერ ღაზასა და დასავლეთ სანაპიროზე 1991 წლიდან 9.3 მილიარდი დოლარის დახარჯვამ, რომლის ბენეფიციარებს შორის „ჰამასის" მოკავშირეები იყვნენ, შეერთებული შტატების მიმართ მადლიერების ნაცვლად, უკმაყოფილება გამოიწვია. კარგად ცხოვრობდნენ მხოლოდ უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი პირები, რომლებიც ხშირად ამერიკელი გადასახადის გადამხდელების მიერ დაფინანსებული ხუთვარსკვლავიანი ცხოვრების წესით ტკბებოდნენ, ხოლო ისინი, ვისაც ისინი უნდა დახმარებოდნენ, კიდევ უფრო უკან წავიდნენ. მთავრობის მიერ სანქცირებული არაეფექტურობის ეპოქა ოფიციალურად დასრულდა. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ჩვენ ბოლოს და ბოლოს გვექნება უცხოური დაფინანსების მისია ამერიკაში, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს"...

რუბიო ასკვნის, რომ ათასობით პროგრამის შემოწმებისა და გადახედვის შემდეგ, 715 მილიარდი დოლარის ხარჯებია გაღებული და რომ საერთაშორისო განვითარების სააგენტო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა...


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№94 (9925) 2025 წლის 2 ივლისი, ოთხშაბათი





## კიდევ კარგი. ილონ მასკს აფრიკაში დაბრუნება არ მოუწია...

## DEEP STATE

### არ უნდა დავიჯეროთ, რომ პაველ ჰერჩინსკი თუ რომელიმე დიპლომატი საქართველოზე ლოცვით მუხლებს გადაიტყავებს, პირიქით, ეს ხალხი „დიფ სთეითის" დავალებებს ასრულებს


იხ. 4 გვ.




## თუ დამკვეთი არ არსებობს, დამნაშავე მხოლოდ ერთია!


დადუნ თურქაძე




## მესამე

უახლესი დღეების ანალები

### მესამე თუ...უკანასკნელი?

ყოფნა-არყოფნის შემეცნების
დასრულდა ერა,
ურწმუნოებამ
ურწმუნოთა
შვა „ხსნის" ქარტია,
თავისუფლებამ გადაიკრა
ტყავი ველურის,
აზრი დაჰკარგა
თვით სიცოცხლის
ქრესტომათიამ!


7





## გარყვნა



## რუსეთი აზერებს გაუჯავრდა!



**რუსეთი აზერბაიჯანს ორმხრივი ურთიერთობების „განზრახ დანგრევაში" ადანაშაულებს.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხაილ გალუზინმა აზერბაიჯანის ელჩთან რახმან მუსტაფაევთან პროტესტი გამოთქვა „ბაქოს ბოლოდროინდელი არამეგობრული ქმედებების გამო". ამასთან, აზერბაიჯანის ელჩს ვერბალური ნოტა წარედგინა რუსი ჟურნალისტების დაუყოვნებლივი გათავისუფლების მოთხოვნით.

ეკატერინბურგში აზერბაიჯანული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების ბოლოდროინდელ დაკავებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა რუსეთის კანონმდებლობის სრული დაცვით, როგორც სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ნაწილი, რომლებიც ეხება წინა წლებში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩადენილ სერიოზულ დანაშაულებს, მათ შორის აზერბაიჯანის მოქალაქეების წინააღმდეგ.

**„ბაქოს მცდელობა, დაადანაშაულოს რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, წარმოადგენს რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევას"**, – აღნიშნულია განცხადებაში.


WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



ზაზა შათირიშვილი:

## არ უნდა დავიჯეროთ, რომ პაველ ჰერჩინსკი თუ რომელიმე დიპლომატი საქართველოზე ლოცვით მუხლებს გადაიტყავებს, პირიქით, ეს ხალხი ,,დიფ სთეითის‘‘ დავალებებს ასრულებს



# თუ დამკვეთი არ არსებობს, დამნაშავე მხოლოდ ერთია!

**მას შემდეგ, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე უსამართლო, დაუსაბუთებელმა ზეწოლამ არნახული მასშტაბი მიიღო. დღეს საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ ზუსტად იცის ამ ზეწოლის მიზანი — ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა, მმართველობაში აგენტურის დაბრუნება და შემდეგ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა,** — ამის შესახებ ფილოსოფოსი **ზაზა შათირიშვილი** აცხადებს.

შათირიშვილის დაკვირვებით, **საქართველოსთვის ეს დამღუპველი სცენარი რომ გლობალური ომის პარტიის, იმავე ,,დიფ სთეითის‘‘ მიერ ომამდე იყო გაწერილი, უტყუარად არაერთი ფაქტით დასტურდება.**

„განსაკუთრებით ყურადსაღებია უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია, როდესაც საკაშვილი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში შემოაპარეს. სტაჟიანი აგენტის დავალება არჩევნების დღეს საჯაროდ, მოულოდნელად გამოჩენა, რევოლუციური პროცესების აგორება და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა იყო. ამავე დავალებას ასრულებდა გიორგი გახარია, „დიფ სთეითის“ კიდევ ერთი აგენტი, რომელიც ჯერ მინისტრობის დროს აჯანჯღარებდა ქვეყანას, მიზანმიმართულად აზიანებდა პოლიციის და ხელისუფლების რეპუტაციას, ბოლოს კი მთავრობის ჩამოშლის მიზნით თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ორივე შემთხვევაში გარე ძალების დალაგებული გეგმა ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის მიერ გაშიფრულ იქნა და ხელისუფლების დამხობის მცდელობები წარმატებით განეიტრალდა.

ამასობაში ომიც გაჩაღდა, ხოლო „დიფ სთეითმა“ საქართველოში პროცესების ასარევად გეგმა B აამუშავა. რადგან ომამდე ქვეყნის სათავეში აგენტურის დაბრუნება ვერ მოხერხდა, ომის დაწყებიდან „წერტილოვანი დარტყმები“ ამოქმედდა, რაც, საბოლოო ჯამში, იმავე მიზნით, ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით უნდა დასრულებულიყო. ომის დაწყებიდან ოთხი წლის თავზე „დიფ სთეითის“ მიერ კონტროლირებადი შიდა თუ გარე ძალები დაჟინებით ცდილობენ დავალების შესრულებას. ყველას კარგად გვახსოვს ის პროვოკაციები და პროვოკაციული განცხადებები, რასაც ამ წლების განმავლობაში ვხედავთ და ვისმენთ: მოხალისე მეომრების გაგზავნის მოთხოვნა უკრაინაში, სანქციების დაწესების კამპანია, ელჩის გაწვევა, ომში ჩართვის პირდაპირი მოწოდებები ამ დამღუპველ ნაბიჯებზე უარის მთქმელი ადამიანების, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება და ასე შემდეგ

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში რამდენიმე ასეული აქტორი და ევროკავშირის სხვადასხვა უწყებათა მთელი კოჰორტაა ჩართული, მათთვის არასასურველი ხელისუფლების ცვლილების ხელწერა კი რამდენიმე შრედ იყოფა და ყველა ეტაპს თავისი მახასიათებელი ნიშანი აქვს. ქვეყნის სუვერენიტეტის ჩამოშლას და აგენტურის მმართველობაში დასმას კი გარედან და შიგნიდან კონკრეტული აქტორები და ევროპული სტრუქტურები სინქრონულად ცდილობენ“, — აცხადებს შათირიშვილი.

მისი თქმით, **„დიფ სთეითის“ მოქმედების უმთავრესი ნიშანთვისება არის ის, რომ არასასურველი ხელისუფლების სხვადასხვა გზით ცვლილებას ისინი ხალხის ხელით ახორციელებენ.**

„საქართველოს მაგალითზე მოდელი ყველაზე უკეთესად ჩანს — წლებია, „დიფ სთეითის“ მიერ მართული ევრობიუროკრატია, წამყვანი სტრუქტურები და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები უსამართლოდ აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას, ხოლო ხალხს უკიჟინებენ, რომ ქვეყანა ევროპულ გზას შორდება. ამ პროცესში ცრუ პროპაგანდის მაქსიმალურად გავრცელებისთვის არაფორმალური ოლიგარქები მათ მიერ კონტროლირებად მეინსტრიმ მედიას აქტიურად იყენებენ. მათი გადმოსახედიდან ეს მეთოდი, წესით, წარმატებული უნდა ყოფილიყო, რამეთუ ქართულ საზოგადოებაში ევროპული ღირებულებების მიმართ მხარდაჭერა ძალიან მაღალია, მაგრამ მთავარი შეცდომა „დიფ სთეითმა“ სწორედ აქ დაუშვა — ჩვენი მოსახლეობა ევროკავშირს, პირველ რიგში, ევროპული ღირებულებების გამო ესწრაფვოდა, დღევანდელი ბიუროკრატია კი სრულად დაცლილია ამ ღირებულებებისგან, ხოლო ევროკავშირში მიმდინარე ნეგატიური პროცესები — უკონტროლო მიგრაცია, ლგბტ პროპაგანდა, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, შერჩევითი სამართლის დაკანონება და ანტიეკლესიური გადაწყვეტილებები ქართველ ხალხს იმდენად აშფოთებს, რომ ერთ დროს ევროკავშირის მოწონების 80%-იანი რეიტინგი დღეს ისტორიულ მინიმუმზეა დასული, ანუ გამოდის, საზოგადოების მოტყუებამ და არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების მეთოდმა არ გაამართლა, რადგან თავად ღრმა პრობლემებში ყელამდე ჩაფლული ევროკავშირი დღეს დამოუკიდებელი, სუვერენული და სამართლიანი საქართველოს მოქალაქისთვის „სახედრის წინ ჩამოკიდებული სტაფილოს“ როლს ვეღარ ასრულებს“, — აღნიშნავს **შათირიშვილი.**

მისი თქმით, **არჩევნების შემდეგ, სასურველ ქვეყანაში არასასურველი ხელისუფლების ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი არის მონოპოლიზებული ინსტიტუციები, პირველ რიგში კი, სასამართლო ხელისუფლება, რომელიც „დიფ სთეითის“ ნებისმიერ დავალებას შეასრულებს.**

„მაგალითები, თანაც უახლოესი წარსულის, აქაც უამრავია. მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორი უხეში „ქირურგიული ჩარევა“ განახორციელა ოლიგარქიულმა მმართველობამ რუმინეთში, სადაც სასამართლოს აკონტროლებდა. არჩევნებში მათთვის არასასურველი კანდიდატი გაუძვრათ, თუმცა ყურით მოთრეული მიზეზით მოსამართლემ არჩევნების შედეგები გააუქმა, გამარჯვებულ კანდიდატს კი საერთოდ აუკრძალა შემდგომ კენჭისყრაში მონაწილეობა. ზუსტად ანალოგიური მინი მოდელი გათამაშდა საქართველოშიც საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ოპოზიციამ, ასევე, მოგონილი „გაყონვის“ მიზეზით არჩევნების შედეგი სასამართლოში გაასაჩივრა, ხოლო ერთ-ერთმა რაიონულმა მოსამართლემ, „დიფ სთეითის“ კლანის წევრმა, ხუჭუამ შედეგები გააუქმა. მართალია, ზედა ინსტანციაში ყველაფერი კანონიერად დასრულდა, მაგრამ ერთი წამით წარმოიდგინეთ, სასამართლო ხელისუფლება რომ ოლიგარქების კონტროლის ქვეშ ყოფილიყო, „ქართულ ოცნებას“ „გაყონვის“ საბაბით მოგებულ არჩევნებში დამარცხებულად გამოაცხადებდნენ და ხელისუფლებაში აგენტურა უმტკივნეულოდ, კონტროლირებული სასამართლოს ხელით დაბრუნდებოდა.

„დიფ სთეითის“ ნაცადი ხელწერის ანალიზის მიხედვით, სასურველ ქვეყანაში არასასურველი ხელისუფლების მოშორების შემდეგი გზა რევოლუციაზე გადის. აქაც ყველაფერს, ცხადია, ხალხის ხელით აკეთებენ. ამ შანტაჟში კი აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოში აკრედიტებული ეგრეთ წოდებული დიპლომატები, რომლებიც სინამდვილეში „დიფ სთეითის“ მიერ მართული სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან და მათ დიპლომატიურ საქმიანობასთან არაფერი აქვთ საერთო. სწორედ ელჩები ცდილობენ, ადგილზე ვითარება კონტროლიდან გამოვიდეს, შეიქმნას მაქსიმალურად დაძაბული, პოლარიზებული და ბიზღით სავსე გარემო, რასაც კონკრეტული მიზანი აქვს“, — ამბობს **შათირიშვილი.**

როგორც შათირიშვილი აღნიშნავს, **საქმე ისაა, რომ საქართველოში მშვიდი და სტაბილური გარემო პირდაპირ ანადგურებს „დიფ სთეითის“ რევოლუციურ გეგმას, ხელისუფლება დაამხოს და თავიანთი მარიონეტების ხელით ქვეყანაზე მმართველობა დაიბრუნონ.**

„სიმშვიდის და სტაბილურობის დარღვევას კი ეგრეთ წოდებული დიპლომატების ხელით ახორციელებენ. ისინი მუდმივად ახდენენ ზეწოლას მთავრობაზე, ადანაშაულებენ მას ევროპული კურსიდან გადახვევაში, რითიც ცდილობენ აგრესიული უმცირესობის ემოციებზე ითამაშონ და საზოგადოება საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყონ. ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ძალადობის და კრიმინალის წახალისება. ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკის მეთაურობით, ეგრეთ წოდებული დიპლომატები მუდმივად ამბობენ, რომ პოლიციელზე თავდამსხმელი ამაღლობელი და რატიანი პოლიტიკური პატიმრები არიან, მოძალადე დემონსტრანტები – მშვიდობიანი მომიტინგეები, ხოლო პოლიციელისათვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ბანდიტი – თავისუფლების მედროშე.

ასეთი მოწყვლადი გარემოს შექმნა კი ერთადერთ მიზანს ემსახურება – გამოჩნდეს ვინმე თავზეხელაღებული ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ მთავრობა მას „ევროპულ მომავალს“ ართმევს და შემდეგ სასხლეტს ხელს გამოჰკრავს, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. ხოლო თუ ასეთი ადამიანი ბუნებრივად არ გამოჩნდება, მათ თადარიგში რევოლუციური ტრენინგების შედეგად სპეციალიზებული ჯგუფები ჰყავთ, რომლებიც არეულობის მოსაწყობად ნებისმიერ დავალებას შეასრულებენ. ეს აპრობირებული მეთოდი „დიფ სთეითმა“ მეტნაკლები წარმატებით სლოვაკეთში გატესტა. წლების განმავლობაში, მათ შორის, ეგრეთ წოდებული ელჩების ხელით, ამ ქვეყანაში აგრესიულად მიმდინარეობდა ლეგიტიმური მთავრობის და მათი პრემიერის, რობერტ ფიცოს გაშავების კამპანია, მას გამუდმებით ეძახდნენ პრორუსს, მოძალადეს, ქვეყნის მოღალატეს და შედეგიც დადგა – სიძულვილით სავსე გარემოში „დიფ სთეითის“ წვრილფეხა „მწერალმა“, სინამდვილეში კი დაქირავებულმა ქილერმა, სწორედ რომ სასხლეტს ხელი გამოჰკრა და ფიცოს მკვლელობა სცადა. საბედნიეროდ, ქვეყნის პატრიოტი პოლიტიკოსი გადარჩა“, – აცხადებს **შათირიშვილი.**

მისივე თქმით, **ნურავის ექნება ილუზია, რომ ჰერჩინსკი ან რომელიმე მისი კოლეგა „საქართველოს მომავალზე“ ზრუნავს.**

„სწორედ ანალოგიური სცენარი მოქმედებს ჩვენ ქვეყანაშიც. ნურავის ექნება ილუზია, რომ ჰერჩინსკი ან რომელიმე მისი კოლეგა „საქართველოს მომავალზე“ ზრუნავს. ნურავინ იფიქრებს, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ბედი ადარდებთ. მათ აქვთ კონკრეტული დავალება და სპეცსამსახურების მიერ გაწერილი გაიდლაინებით მოქმედებენ. მათი ყოველი უსამართლო განცხადება, მათი ყოველი თავდასხმა საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე ემსახურება ერთადერთ მიზანს – ქვეყანაში მაქსიმალურად დაიძაბოს სიტუაცია, მოხდეს საზოგადოების მაქსიმალური პოლარიზება და ამ დროს აუცილებლად გამოჩნდება ან თავად გამოაჩენენ იმ „ერთ თავზეხელაღებულს“, რომელიც ყველაფერზე წავა, მათ შორის ტყვიის გასროლაზე.

ის ფაქტი, რომ „დიფ სთეითს“ საქართველოში რევოლუციისათვის მსხვერპლი სჭირდება, ეს არა ვარაუდი, არამედ დადასტურებული ფაქტია. ყველას კარგად გვახსოვს ლორა თორნტონის, „მაკეინის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის ღია წერილი, რომელიც საქართველოში მსხვერპლის აუცილებლობაზე საუბრობს. საზოგადოებას ასევე კარგად ახსოვს ევროკავშირის მაღალჩინოსნის, ოლივერ ვარჰეის ზარი ირაკლი კობახიძესთან, როდესაც „დიფ სთეითის“ გავლენიანმა აგენტმა პირდაპირ უთხრა საქართველოს პრემიერს: „ხომ გახსოვს, რა დაემართა რობერტ ფიცოს“, დიახ, ის რაც სლოვაკეთში მოხდა, წინასწარ დალაგებული და კარგად გააზრებული პროცესის შედეგი იყო. ისინი შექმნიან სიძულვილით სავსე გარემოს, ისინი წაახალისებენ ძალადობას და კრიმინალს, ისინი ფეხქვეშ გათელავენ ინსტიტუციებს, ისინი შენებას – ნგრევად, სიკეთეს კი ბოროტებად წარმოაჩენენ, ხოლო, როდესაც ზამბარა მაქსიმალურად დაიჭიმება, როდესაც ჩათვლიან, რომ აგრესიული უმცირესობა რევოლუციისთვის მზად არის, აუცილებლად გამოჰკრავს ვინმე სასხლეტს ხელს და მათთვის ასე ნანატრი მსხვერპლიც რეალობად იქცევა.

**სწორედ ამ დიდი და მზაკვრული გეგმის ნაწილია ეგრეთ წოდებული დიპლომატების არაბუნებრივი აქტიურობა. მათი ყოველი უსამართლო განცხადება, დაუსაბუთებელი კრიტიკა და, ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის შეურაცხმყოფელი ქმედებები ერთადერთი მიზნით არის ნაკარნახევი – საქართველოში შექმნან უკონტროლო ვითარება და შემდეგ, როგორც სპეცსამსახურების ტერმინით იტყვიან: „თუ დამკვეთი არ არსებობს, დამნაშავე მხოლოდ ერთია“. ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, არ უნდა ავყვეთ ემოციებს, არ უნდა დავიჯეროთ, რომ პაველ ჰერჩინსკი თუ რომელიმე დიპლომატი საქართველოზე ლოცვით მუხლებს გადაიტყავებს. პირიქით, ეს ხალხი „დიფ სთეითის“ დავალებებს ასრულებს და თითოეულ მათ სიტყვას და ქმედებას სწორედ ამ პრიზმიდან უნდა შევხედოთ“!..**

1 ივლისი, 2025 წ.



# ირაკლი კობახიძე: „დიფ სთეითი“ ევროკავშირის დაფინანსებას საქართველოში რევოლუციური პროცესების წასახალისებლად იყენებს

**ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ფონდებიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ აწყობენ 2000-კაციან აქციას, ითხოვენ ხელისუფლების დამხობას და ა.შ. ძალიან სამწუხარო რეალობას ქმნის. ასეთი ფაქტები და ქმედებები ძალიან მძიმედ აისახება არა მხოლოდ ევროპული ბიუროკრატიის, მთლიანად ევროკავშირის იმიჯზე ჩვენს ქვეყანაში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ყველა ხედავს, რომ „დიფ სთეითი“ ევროკავშირის დაფინანსებას იყენებს საქართველოში რევოლუციური პროცესების წასახალისებლად.

**„კარგი ის არის, რომ ამ პროცესებს არავითარი პერსპექტივა არ აქვს, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ფონდებიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ აწყობენ 2 000-კაციან აქციას, ითხოვენ ხელისუფლების დამხობას და ა.შ. ძალიან სამწუხარო რეალობას ქმნის. ასეთი ფაქტები და ქმედებები ძალიან მძიმედ აისახება არა მხოლოდ ევროპული ბიუროკრატიის, მთლიანად ევროკავშირის იმიჯზე ჩვენს ქვეყანაში.**

**ამიტომ არავის უკვირს, რომ ევროკავშირის მიმართაც კი შემცირებულია ნდობა რადიკალურად, 80%-იდან თითქმის 50%-მდე. იმიტომ, რომ ევროპული ბიუროკრატია, რომელიც იმართება „დიფ სთეითის“ მხრიდან, აბსოლუტურად ანადგურებს ნდობას ქართული საზოგადოების თვალში ევროპული სტრუქტურების მიმართ“...**

## დავით ქართველიშვილი:

# რატომ „გამორჩათ“ (უცხოურ მედიას) საქართველო?!



**პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში პეკინიდან ევროპის მიმართულებით დაძრულ სატვირთო სარკინიგზო შემადგენლობასთან დაკავშირებით უცხოური მედიის გამოხმაურებას აფასებს.**

მისი თქმით, საერთაშორისო მედიამ თავი შეიკავა პეკინი-ბაქოს მარშრუტზე საქართველოს ხსენებისაგან, საქართვლოსა და ევროკავშირის ურთიერთობის „არასტაბილურობის“ გამო. სოციალურ ქსელში ექსპერტი აქვეყნებს მარშრუტს, თუ რა გზით გაემგზავრება ტვირთი პეკინიდან ევროპის მიმართულებით.

**„დღეს პეკინიდან ევროპის მიმართულებით დაიძრა სატვირთო სარკინიგზო შემადგენლობა. ამ ინფორმაციის გამშუქებელი საერთაშორისო მედია თავის ყურადღებას „პეკინი-ბაქოს“ მარშრუტზე ამახვილებს – საქართველოს ხსენების გარეშე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაქოდან ევროპაში ტვირთებს საჰაერო ბუშტებით გაუშვებენ.**

**სინამდვილეში როგორ მიმდინარეობს რეალურად ეს მარშრუტი: პეკინი (ფანშანის რაიონი) – სარკინიგზო ტრანსპორტი ყაზახეთამდე (ალისანქოუ ან ხორგოსის გავლით). შემდეგ – სარკინიგზო ტრანსპორტით ყაზახეთიდან კასპიის ზღვის პორტამდე (აქტაუ). აქედან ტვირთი გადადის ბორანით კასპიის ზღვით (ბაქოში).**

**ამის შემდეგ, აზერბაიჯანი-საქართველო (ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა) შემდეგ ან თურქეთში, ან შავი ზღვის პორტებში (ფოთი/ბათუმი/რუმინეთი ან ბულგარეთი ბორანით).**

**რატომ „გამორჩათ“ საქართველო ამ კონტექსტში – მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების გამო, რათა არ გაეკეთებინათ აქცენტი საქართველოს მონაწილეობაზე „შუა დერეფნის“ პროექტში, ჩვენი ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობების „არასტაბილურობისა“ და თბილისის უკბილო კბენის სასაცილო მცდელობის გამო...“**

**ის, რაც სლოვაკეთში მოხდა, წინასწარ დალაგებული და კარგად გააზრებული პროცესის შედეგი იყო. ისინი შექმნიან სიძულვილით სავსე გარემოს, ისინი წაახალისებენ ძალადობას და კრიმინალს, ისინი ფეხქვეშ გათელავენ ინსტიტუციებს, ისინი შენებას – ნგრევად, სიკეთეს კი ბოროტებად წარმოაჩენენ, ხოლო როდესაც ზამბარა მაქსიმალურად დაიჭიმება, როდესაც ჩათვლიან, რომ აგრესიული უმცირესობა რევოლუციისთვის მზად არის, აუცილებლად გამოჰკრავს ვინმე სასხლეტს ხელს და მათთვის ასე ნანატრი მსხვერპლიც რეალობად იქცევა.**



# „ატლანტიკურ საბჭოს“ მაინც დაუჯერეთ!

**საქართველო საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებით 21-ე საუკუნის საუკეთესო სამეულშია და, 2012 წლის შემდეგ განცდილი პროგრესით, მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს.**

„ატლანტიკურმა საბჭომ“, კეთილდღეობის 2025 წლის ინდექსი და მისი დეტალური ანგარიშგება გამოაქვეყნა. კვლევაში საზოგადოებრივი კეთილდღეობა გააზრებულია არა მხოლოდ მოსახლეობის შემოსავლების დონის, არამედ სოციალური თანასწორობის, უმცირესობათა უფლებების დაცულობის, გარემოს დაცვის, განათლების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

**შეფასების 100%-იანი სისტემით, საქართველომ ისტორიული მაქსიმუმი, 75.5% დააფიქსირა და, კეთილდღეობის ინდექსის გაუმჯობესებით, 21-ე საუკუნის საუკეთესო სამეულში მოხვდა.**

**ორგანიზაციის შეფასებით, ჩვენს საუკუნეში, ანუ 2001-2024 წლების პერიოდში მსოფლიოში საზოგადოებრივი კეთილდღეობა 7,5 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა, ევროპაში კეთილდღეობის ინდექსის მატებამ 6,7 პუნქტი შეადგინა, ევროკავშირში კი – 5,5.**

**შედარებისთვის, ამ პერიოდში საქართველოში საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაჩვენებელი 17 პუნქტით არის გაზრდილი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა 2012 წლის შემდეგ განცდილი პროგრესის მიხედვით. ორგანიზაციის შეფასებით, ბოლო 12 წელიწადში საქართველოში კეთილდღეობის ინდექსი 8,8 პუნქტით გაუმჯობესდა და მსოფლიო რეიტინგში ქვეყანა 23 ადგილით დაწინაურდა. დღეს საქართველო კეთილდღეობის დონით მსოფლიოში 47-ე ადგილზეა, რეიტინგით უსწრებს ყველა მეზობელს, ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატს და ნატოს და ევროკავშირის წევრ 5 სახელმწიფოს: თურქეთს, ალბანეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, მონტენეგროს და ევროკავშირის წევრ ბულგარეთსაც. საქართველოს მინიჭებული აქვს „ზომიერი კეთილდღეობის“ მქონე ქვეყნის სტატუსი და მსოფლიო რეიტინგში სამომავლოდ მხოლოდ 6 ადგილით დაწინაურება სჭირდება, რათა „მაღალი კეთილდღეობის“ სტატუსი მიიღოს.**




**ჩვენში, ტრადიციულად, გარყვნილად იმ ადამიანს მოიხსენიებენ, რომელიც ცოლს ან ქმარს სისტემატურად ღალატობს, ან გაუთხოვარი, ან უცოლო კაცი ხშირად რომ იცვლის საყვარლებს და არც მალავს ამას. ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, გარყვნილებაა, თუმცა საზოგადოებრივად ყველაზე მსუბუქი და უწყინარი ფორმაა გარყვნილებისა, საშიშია არა ეს, არამედ ის გარყვნილება, რომელიც მთლიან პიროვნებას მოიცავს და მის ზნეობრივ-გონებრივ და, ბოლოს, პიროვნების ფიზიკურ ეროზიას იწვევს.**

# გარყვნა

## რა არის ეროზია, ზოგადად?

**ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ მოვლენისა რკინის ნაკეთობაა, რომელსაც პატრონი ყურადღებას თუ არ მიაქცევს ამ ნაკეთობაზე ჟანგის წერტილების გაჩენას და დროულად თუ არ აღმოფხვრის მას, ჟანგი მალე შეჭამს ამ ნაკეთობას, რაოდენ მედგრადაც უნდა გვეჩვენებოდეს იგი.**

**აი, პიროვნებისა და მერე მთელი საზოგადოების ეროზიაა საშიში, რასაც გარყვნილება იწვევს. გარყვნილების გამომწვევი გაცილა სიცრუეა, რომელიც, მეტწილად, თითქოს სრულიად უწყინარი ფორმით ვლინდება და პანდემიაზე გევრად უფრო სწრაფად ვრცელდება საზოგადოებაში.**

რელიგიურ სწავლებაში ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად ითვლება სიცრუე, მატყუარობა! სიცრუე, თავიდან, მართლაც, თითქოს, უწყინარი რამ არის, ზოგჯერ მას კეთილ, სასარგებლო ტყუილსაც უწოდებენ. მაგალითად, სამსახურიდან მოსული დაღლილი კაცი თავის მცირეწლოვან შვილს სთხოვს: ძალიან დაღლილი ვარ, უნდა დავისვენო და თუ ვინმემ დამირეკოს, უთხარი მამას სძინავს-თქო.

ამ სიცრუეს თითქოს რაიმე ბოროტი განზრახვა არ ახლავს, მაგრამ ბავშვს უყალიბდება იმის რწმენა, რომ როდესაც შენთვის სასარგებლოა, მაშინ სიცრუე სიკეთეა. ამ რწმენაზე აიგება საერთო პიროვნული განწყობა: როდესაც გჭირდება, ტყუილის თქმა სასარგებლო და აუცილებელია. ეს ხომ დიამეტრალურად უპირისპირდება ღვთის მცნებას – „არა იცრუო“!

აქედან იწყება სწორედ პიროვნების ზნეობრივი გარყვნა, პროგრესირებადი ეროზია, რაც მალე პიროვნების მთლიანობას შლის. ზნეობრივად გარყვნილი ადამიანი შეუძლებელია გონებრივ ჯანმრთელობას ინარჩუნებდეს. როდესაც ადამიანის მრწამსი სიცრუის „სიკეთეზეა“ დაფუძნებული, შეუძლებელია მისი გონება რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებდეს, რადგან საკუთარი სიცრუის ბადეში გახვეული კაცის ცნობიერება უკვე დეფორმირებულია და ავსა და კარგს შორის რაციონალურ ორიენტაციას ვეღარ აკეთებს, მისთვის ცოდვასა და მადლს შორის განსხვავების დანახვა შეუძლებელია.

ამჟამად, კაცობრიობის დიდი ნაწილი სიცრუემ მოიცვა. განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს ცუნამივით გადაუარა სიცრუემ. ჯერჯერობით, საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილია გადარჩენილი აშშ-სა და ევროპაში, რომელმაც მოახერხა, აეცდინა სიცრუის პანდემიის მომაკვდინებელი გავლენა. ეს მცირე ნაწილი არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და შეგნებაზე: იტყუებიან ამ ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, ყველა მაღალჩინოსანი თუ რიგითი მოქალაქე, დიდი თუ პატარა. ამიტომ არის, რომ ევროპის კონტინენტსა თუ აშშ-ში სირცხვილის განცდა დაკარგულია და ზნეობრიობის არსი უგულებელყოფილი. სწორედ ეს არის ამ ქვეყნებში ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობების კატასტროფულად დაბალი დონე. ამის მაგალითების დანახვა, პოლიტიკური ლიდერების მაგალითზე, სრულიად აშკარაა. იმას, რასაც ამ ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები აცხადებენ და აკეთებენ, საღ აზრს სრულიად მოკლებულია.

იქ, სადაც სირცხვილის განცდა დაკარგულია და ზნეობრიობა უგულებელყოფილი, იქ, რაიმე სოციალურ თუ პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, ან მის ძიებაზე ფიქრი და განსჯა უპერსპექტივოა. ამიტომ ამ სიცრუის სამფლობელოში ადამიანის (და არა პიროვნების!) პასუხისმგებლობაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს.




**აბა, მშობელი, თავის მცირეწლოვან თუ არასრულწლოვან შვილს, სქესის შეცვლის უფლებას რომ მისცემს, მას თავისი შვილის ან საკუთარი თავის, ან სამშობლოს წინაშე რაიმე პასუხისმგებლობის გრძნობა შეიძლება ჰქონდეს? და როდესაც კაცობრიობის ერთი, არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ასეთი შეგნებისაა დღეს, ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ადამიანთა ამ ნაწილმა მართლა დაუჯერა ნიცშეს, რომელმაც ამ საუკუნენახევრის წინ ღმერთის გარდაცვალება გამოაცხადა და ადამიანები ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.**

აქედან დაიწყო უფლის უარმყოფელი ადამიანების სულიერი, გონებრივი და ფიზიკური გარყვნა, ანუ მთლიანი პიროვნების სრული ეროზიის პროცესი, რომელიც ახლა არსებობის ბოლო სტადიაზეა. განა ამის თვალსაჩინო მაგალითი არ იყო აშშ-ის ამასწინანდელი პრეზიდენტის ბაიდენის განცხადება: – ტრანსგენდერები ამერიკის შეერთებული შტატების სახეაო! ეს მხოლოდ ბაიდენის აზრი როდი იყო. ამაზე უფრო მკრეხელური მოქმედება ჩაიდინა იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა, რომელმაც დედის, მამის, დისა თუ ძმის ხსენება აკრძალა! ადამიანთა ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა ფსიქიატრიასა და ფსიქოლოგიაში დიდი ხანია მეცნიერულად სახელდებულია, მაგრამ დღეს, ნეოლიბერალური ფაშიზმის ბატონობის ხანაში, ის სახელდება დაგმობილია, რადგან გენდერული თანასწორობის იდეას აღიარებენ და ეთაყვანებიან ევროპელი და ამერიკელი (აშშ-ის) თანამედროვე მოწინავე უაზრობის აპოლოგეტები.

ახლა სრულ ჭკუაზე მყოფი ათეისტებიც კი ეთანხმებიან რელიგიურ სწავლებას იმაში, რომ ვინც ღმერთი მიატოვა (უარყო), ამით განარისხა იგი და უფალმა წაართვა მას ღვთის მსგავსების ის ერთადერთი ნიშანი, რასაც შემეცნება ჰქვია. აბა, კაცს თავი ქალი რომ ჰგონია და ქალი მისთვის საყვარელ ხესა თუ ბუჩქზე დაქორწინებას მოისურვებს, შემეცნების უნარის რაიმე ნიშანწყალი ეტყობათ? ცხადია, არა!

პოლიტიკოსებს, მით უფრო დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მინდა ვურჩიო: ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ ამ ქვეყნების წარმომადგენლებს, სადაც ნეოლიბერალური ფაშიზმია გაბატონებული, სადაც უკვე აღარ არსებობს ისეთი ცნებები, როგორიც არის „დედა“, „მამა“, „და“, „დეიდა“, „მამიდა“ და ამ ცნებებიდან გამომდინარეობს „მამულის“, „დედულის“ და სხვა ცნებები, რომელიც ეფუძნება „ქალისა“ და „კაცის“ ცნებებს. იმ ქვეყნის პოლიტიკოსები და ფუნქციონალურად მათთან დაკავშირებული ადამიანებისათვის (ანუ, თითქმის მთელი საზოგადოებაა ასეთი), რადგან პიროვნებათშორისი კავშირებიც პოლიტიკასა და დიპლომატიას ეფუძნება(!) სიცრუეა და მხოლოდ სიცრუეა წარმატების შანსი. ასე ჰგონიათ მათ! სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ლგბტ თემების წევრებს ცნობიერების მძიმე კრიზისი აქვთ, რადგან სატანისტური იდეოლოგიის წარმომადგენლებს შემეცნების უნარი წაართვა უფალმა და ამით თვითლიკვიდაციისთვის გაწირა ისინი.

**გარყვნილება ძალიან მძიმე დაავადებაა და მედიცინა უძლურია ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთადერთი საშუალება მონანიებაა და იმ ღირებულებებთან დაბრუნებაა, რაც ზუსტად არის ჩამოთვლილი უფლის ათ მცნებაში, სადაც განსაზღვრულია ადამიანის ადამიანური მოვალეობანი. ამას ყველა ვერც შეძლებს და არც მოინდომებს „სრული თავისუფლების“ სატანურ ხაფანგში გაბმული, ეროზირებული სულისა და სხეულის მატარებელი არსებები, რომლებიც ადრე ადამიანებად იხსენიებოდნენ.**






**იტყუებიან ამ ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, ყველა მაღალჩინოსანი თუ რიგითი მოქალაქე, დიდი თუ პატარა. ამიტომ არის, რომ ევროპის კონტინენტსა თუ აშშ-ში სირცხვილის განცდა დაკარგულია და ზნეობრიობის არსი უგულებელყოფილი.**

*   *   *

**რამ დაანგრია საბჭოთა კავშირი? უცხოურმა აგენტურამ, აშშ-მა, ნატომ? რა თქმა უნდა, უცხოურმა აგენტურამ, მისმა მავნებლურმა მოქმედებამ, შინაურმა მოღალატეებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ბოროტება იყო ის ტოტალური სიცრუე, რამაც თავიდან ბოლომდე გარყვნა იმდროინდელი საზოგადოება.**

**იმის პროპაგანდამ, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიაა და დასავლეთ ევროპა და აშშ სამოთხე და ედემის ბაღია. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სსრკ-ში ყველა იტყუებოდა – სკკპ-ს გენერალური მდივნიდან დაწყებული ხარაგაულისა თუ წალენჯიხის რაიკომის მდივნამდე, საკავშირო მთავრობის თავმჯდომარიდან – თეთრიწყაროს რაიკომის ინსტრუქტორამდე, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემდე, ყველა ცრუობდა! ვინც (მცირე ნაწილი!) არ ცრუობდა, ის ან დისიდენტი იყო და იჭერდნენ, ან ბოთესა და სულელს უწოდებდნენ.**

**რა დაანგრევს ევროკავშირს? სიცრუე და ორპირობა! და ეს პროცესი უკვე დაწყებულია.**

სიცრუემ და ორპირობამ გარყვნა და დაანგრია რომის იმპერია, იმ შინაგანმა ეროზიამ დაშალა მისი უძლიერესი შინაგანი ორგანიზმი და არა ატილასა და სხვა ნახევრად ველური ევროპული ტომების შემოსევებმა. დღეს იტალიის დედაქალაქს ჰქვია „რომი“, მაგრამ „რომაელი“ აღარავინ არის ამ პლანეტაზე. „რომაელი“, როგორც რომელიმე კონკრეტული ხალხის წარმომადგენელი, უკვალოდ გაქრა!

**სულიერმა, გონებრივმა, ზნეობრივმა გარყვნამ, რაც სიცრუემ და ორპირობამ გამოიწვია, დაანგრია უძლიერესი ბიზანტიის იმპერიაც! ეს არის ისტორიულ კანონზომიერებაში გამოვლენილი ცოდვის შედეგები, რაც განგების განაჩენია. „არვის ძალუძს ხორციელსა, გარდუვალის გარდავლენა“, – რუსთაველის პირით გვითხრა უფალმა. მამალი ათეისტები არ დაიჯერებენ ამას, მაგრამ ნორმალური ათეისტებიც ხომ არიან და სწორედ მათ უნდა გაიხსენონ, რომ უფლის სამსჯავროსთან არც ფული გადის და არც პროტექცია!**

სიცრუე მარტო ვერბალური (ანუ სიტყვიერი!) ქცევა კი არ არის, იგი, მეტწილად, მოქმედებით გამოიხატება. მაგალითად, კაცი რომ განათლების მინისტრის პოსტის დაკავებაზე დათანხმდება შემთავაზებელს, მაშინ, როდესაც განათლების თეორიასა და პრაქტიკაზე წარმოდგენაც არ აქვს, ის კაცი ცრუა და თუ მისი იმ პოსტზე დამნიშნავმაც იცის ეს, ორივენი ცრუ კაცები და ზნეობრივ-გონებრივად გარყვნილები არიან. თავდაცვის მინისტრობას, ანდა, სულაც, მთავარსარდლობას რომ მოინდომებს, ის კაცი, რომელსაც ჯარში ერთი დღეც არ გაუტარებია, იგი სულით და ხორცით გარყვნილია, აბა, რა არის!

საამისო მაგალითები ჩვენში ბევრი და მრავალფეროვანია. იმიტომ არის ჩვენი საქმე „კარგად“!

*   *   *

**უკრაინასა და რუსეთს შორის კონფლიქტის დაწყებიდან მალე, მინსკში რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და ინგლისის მონაწილეობით, რაშიც ბელორუსიც მონაწილეობდა, როგორც მასპინძელი ქვეყანა, გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებდა უკრაინის მხარეს წმინდა რუსული ოლქების, დონეცკისა და ლუგანსკის ავტონომიურ ოლქებს რუსულ, ანუ მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას.**

ამ შეთანხმებას ოთხივე მხარემ მოაწერა ხელი. სულ მალე უკრაინამ კვლავ განაახლა დონეცკისა და ლუგანსკის დაბომბვები, რამაც განაახლა საომარი კონფლიქტი. ამან მედიაში გარკვეული რეაქცია გამოიწვია, რასაც ანგელა მერკელმა გულწრფელი პასუხი გასცა (გაიხსენეთ ფსიქოლოგ ფროიდის „წამოცდენის ეფექტი“!): **ჩვენ რუსეთს ვატყუებდით, რათა დრო მოგვეგო და უკრაინა უკეთესად შეგვეიარაღებინაო.** ა, ბატონო, „ევროპულ ღირებულებებზე“ აღზრდილი რკინის კანცლერის ზნეობრივი (უფრო სწორად, უზნეობის(!)) მრწამსი და ისიც, რომ იგი გერმანიას ათ წელზე მეტხანს მართავდა! რუსეთს ვატყუებდითო, ჩვენო – ინგლისი, უკრაინა და მე – გერმანიაო! კარგი საილუსტრაციო მაგალითია, არა მარტო პოლიტიკური გარყვნილებისა, არამედ გონებრივი იდიოტიზმისაც. **ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი ვირტუოზული მატყუარა იყო, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს უთქვამს, მე ოდესმე ტყუილი მიკადრებიაო.**

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ სტამბოლში რეჯებ ტაიფ ერდოღანის შუამავლობით ხელი მოაწერეს რუსეთმა და უკრაინამ ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ სტამბოლში სასწრაფოდ ჩამოფრენილმა ჯონსონმა ზელენსკის ჩააგონა, გააუქმე ეგ ხელმოწერა, ჩვენ შენ დაგეხმარებით და ამ ომს შენ მოიგებო. ჯონსონს თავის ქვეყანაშიც კარგა მაგრად შექანებულად მიიჩნევდნენ, მაგრამ ზელენსკი კი დაარწმუნა და მან თავისი ხელმოწერა გააუქმა.

ა, ბატონო, ეს ორი ევროპელი ღლავი თავიდან ამყრალებულან. ინგლისში ჯონსონს მალე ჰკრეს პანღური, მაგრამ მის ადგილზე, ანუ პრემიერ-მინისტრად არჩეული ტრასი თავიდანვე აყროლებული გამოდგა და სხვა რომ ვეღარავინ იპოვნეს მსოფლიო იმპერიის ყოფილ მეტროპოლიაში პრემიერობის შემძლედ, ინდოელი ემიგრანტი რიშარი გახდა ინგლისის პრემიერ მინისტრი. ეს ის რიშარია, რომელიც აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტს ბაიდენს რაჯ კაპური ეგონა. ეს ამბავი მსოფლიო მედიისგან გავიგე, თორემ, არ იფიქროთ მე მირეკავდა ხოლმე უცხო ქვეყანაში ყოველი ვიზიტის შემდეგ. არა! ვაშინგტონში რომ ჩავიდა, იქ განაცხადა, ინგლისის ახალი პრემიერი რაჯ კაპური ძალიან მომეწონაო.

**მეც ქართველი ვარ და ხანდახან გულუბრყვილობას ვავლენ ხოლმე. ასეთი რამ ტრამპის მიმართაც გამომაჩნდა. საარჩევნო კამპანია ისე წარმართა, რომ ვიფიქრე, აშშ-ს მგონი მისთვის ახალი ისტორიის დამწყები კაცი მოევლინა-მეთქი. არადა, მან პრეზიდენტად არჩევის მეორე დღესვე გამოავლინა ის, რასაც მისი წინამორბედები, როგორც წესი, მალავდნენ ხოლმე. ცნობიერების სიღრმეში დაბადებული სურვილის ზიგმუნდ ფროიდის წამოცდენის ეფექტი გამახსენდა. ასე მალე თუ გამოაჩენდა მტაცებლურ ბუნებას, არ მეგონა. მან ნახევარ მსოფლიოს მოაჩვენა თავი ომების შეჩერებისა და აღკვეთის მშვიდობის მტრედად, თუმცა სინამდვილეში ის ისეთივე ქორი ყოფილა, როგორც დიხას, ანუ მიწაში წასული მაკკეინი იყო. მგელი ვერ იქცევა კრავად, ვითარცა შვლის ნუკრი – ლომად. ჩემი წიაღსვლები რა საჭიროა, როცა არსებობს ამერიკის კონტინენტზე შექმნილი სენტანცია: „ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი – დამღუპველი!..**

**სიცრუისა და ორპირობის ბოლო ჟამია! ასეა ეს და ნეტავი იმას, ვინც დროზე ირწმუნებს ამას!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი,
ღირსების ორდენის კავალერი.
555-56-75-37

# თბილისელებო, მერია არ დაგტოვებთ

## პრობლემების პირისპირ...




**დღეს გვქონდა პრეზენტაცია, სადაც შევაჯამეთ, თუ რა გავაკეთეთ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა პროგრამები არსებობს, რომ ვეხმარებით ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს დახმარებას.**

ჩვენი გუნდის მიზანია, ქვეყანა გავაძლიეროთ ეკონომიკურად, წინ წავიდეთ, კეთილდღეობა იგრძნოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ და რაც შეიძლება ნაკლები ოჯახი იყოს, რომელსაც სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები სჭირდება. თუმცა, ვიდრე არსებობს ამის აუცილებლობა, იცოდეთ, რომ მუნიციპალიტეტი თითოეულ თბილისელს დაგიდგებით გვერდით, არ დაგტოვებთ პრობლემების პირისპირ. გაქვთ შესაძლებლობა, გამოიყენოთ ის პროგრამები, რომელიც მერიას ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით აქვს.

*   *   *

**სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესებისა და საცობების განტვირთვის მიზნით, ნოე ჟორდანიას სახელობის სანაპიროსა და კოსტა ხეთაგუროვის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, სატრანსპორტო კვანძი მოეწყობა. სამუშაოების პროცესში საავტომობილო მოძრაობა ეტაპობრივად, ნაწილობრივ შეიზღუდება.**

სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები და ტროტუარები ქვეითებისთვის, სრულად განახლდება გარე განათების ქსელი, დამონტაჟდება ენერგოეფექტური LED სანათები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სანიაღვრე ქსელს და გზის სავალ ნაწილს. დამონტაჟდება „ჭკვიანი შუქნიშნები“, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოძრაობის უსაფრთხოებას და ნაკადების გამტარუნარიანობას. ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით უსაფრთხო საქვეითო კავშირი შეიქმნება. პროექტის ჯამური ღირებულება ორი მილიონი ლარია.

*   *   *

**თბილისის მეტროს 12 სადგურის რეაბილიტაციის კონცეპტუალური პროექტის მოსამზადებლად ხელშეკრულება დაიდო ესპანურ-იტალიურ კონსორციუმთან, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება, დღგ-ს გარეშე, 4 მლნ ევროს შეადგენს.**

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კონტრაქტორი კომპანიის მიერ 12 თვის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს თბილისის მეტროს 12 სადგურის კონცეპტუალური პროექტი, რაც საფუძვლად დაედება დეტალური პროექტირებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ტენდერს. სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მომდევნო 5 წლის განმავლობაში და თორმეტივე სადგური უნდა იყოს დასრულებული. EBRD-ის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი, ჯამში, შეადგენს 55 მლნ ევროს.

მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოები გარკვეული ვადით შეფერხდა. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სადგურის მოსაცდელი ბაქნის ჭერზე არსებული აზბესტ-ცემენტის ფილების დემონტაჟის შედეგად, უშუალოდ რკინა-ბეტონის თაღის კონსტრუქციის მდგრადობის დამატებითი კვლევების აუცილებლობა, რაც მოთხოვნილი იყო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. სადგურის მთლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება კი ნოემბერ-დეკემბერშია დაგეგმილი. პროექტით განსაზღვრულია საკმაოდ მოცულობითი სამუშაოების ჩატარება სპეციალური ტექნოლოგიური პროცესის დაცვით, რომელთა განხორციელებაც მგზავრების მოძრაობის პირობებში შეუძლებელია. შესაბამისად, რკინა-ბეტონის თაღზე და საესკალატორო გვირაბში დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოების ვადის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება, მეტროსადგური „ვარკეთილი“ 12 ივლისიდან დაიკეტოს 45 დღით. შემდეგ გადავალთ უშუალოდ მოპირკეთების სამუშაოებზე. უსაფრთხოებიდან გამომდინარე საჭიროა, რომ სადგური 45 დღით იყოს დაკეტილი.

*   *   *

**ახლოვდება ეროვნული გამოცდები, მინდა, აბიტურიენტებს წარმატებები ვუსურვო და მივაწოდო მათთვის საჭირო ინფორმაცია. 3 ივლისიდან 1 აგვისტომდე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ საგამოცდო პერიოდში, საგამოცდო ცენტრებამდე მისასვლელად, აბიტურიენტებისა და საგამოცდო პროცესში ჩართული პირებისთვის დამატებითი ავტობუსების მარშრუტები დაინიშნება.**

კერძოდ, N39-ე, 175-ე, 177-ე, 191-ე საჯარო სკოლის მიმართულებით ავტობუსების მარშრუტები მგზავრებს ალექსანდრე გობრონიძისა და ვეკუას ქუჩების კვეთიდან (მეტროსადგურ ‘ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორია) მოემსახურებიან. N147-ე საჯარო სკოლის მიმართულებით ავტობუსები იმოძრავებენ მეტროსადგურ „დიდუბის“ ქვედა გასასვლელის მიმდებარე ტერიტორიიდან (ანზორ აბულაშვილის ქუჩა). ხოლო N103-ე საჯარო სკოლის მიმართულებით ავტობუსები იმოძრავებენ მეტროსადგურ „სამგორის“ ზედა გასასვლელის მიმდებარე ტერიტორიიდან (კახეთის გზატკეცილი). საგამოცდო პროცესი N39-ე, 103-ე, 175-ე, 177-ე, 191-ე საჯარო სკოლებში 23 ივლისის ჩათვლით, ხოლო N147 საჯარო სკოლაში პირველ აგვისტომდე გაგრძელდება.



კა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ზოგადად, ხანგრძლივად ესაუბრნენ გ. მალენკოვი და ნ. ხრუშჩოვი.

მათ აინტერესებდათ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საქართველოში, არ სჯეროდათ დაპირება, არაფერიც არ მოხდებაო. მაგრამ ფორმალურად მაინც დაეთანხმნენ, ოღონდ პასუხისმგებლობა მას დააკისრეს.

ამ მოლაპარაკების პარალელურად, ზურგს უკან, ნ. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით ფარული აქცია მიმდინარეობდა: თბილისში გაგზავნეს 100 ოფიცრისგან შემდგარი რაზმი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ პავლე ბატოვის მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან ერთად, რესპუბლიკის პარტიული და სამთავრობო ორგანოებისგან დამოუკიდებლად ემოქმედა. მოსკოვის განკარგულებით, სამხედროებმა საქართველოს დელეგაციის დაბრუნებამდე დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები ვარლამ კაკუჩაია, შალვა წერეთელი (მინისტრი ვლადიმერ დეკანოზოვი პლენუმზე მიწვევის საბაბით ჩაიტყუეს მოსკოვში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში და ჩასვლისთანავე აიყვანეს), ავქსენტი რაფავა, ლ. ბერიას მოხუცი დედა მართა და ნათესავები.

მაყოფილების ან დაჯგუფების მსგავსი ვერაფერი შევნიშნე, მოსკოვი კი ყოველდღე გვთხოვს ინფორმაციასო. ა. მირცხულავამ გენერალი დაამშვიდა, უწესრიგობა და არეულობა არ იქნებაო და პრეზიდიუმში მიიწვია.

როცა ა. მირცხულავა თავმჯდომარეობას შეუდგა, პ. ბატოვმა თურმე გაიკვირვა, სხდომას რატომ პირველი მდივანი არ წარმართავსო. როცა შეიტყო, პირველი მდივანი სწორედ ეგ არისო, საშინლად შეწუხდა და დაფრთხა. შესვენებისას ა. მირცხულავასთან მივიდა და შინაგანი მღელვარებით გაფითრებულმა სთხოვა, ნურავის, განსაკუთრებით

ამიტომაც შეუძახეს პლენუმზე მიხა ბარამიას, როგორ თუ თავს იმართლებ და არ აღიარებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უტყუარობას, **„ჩვენ არ გვახსოვს პარტიის ისტორიაში, რომ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ცოცხალ ფაქტებზე არ ყოფილიყოს აგებულიო“.**

სწორედ პარტიის ხელდასხმით და მისი „ფარისა და მახვილის“–სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონდომებით იყო, რომ „ბურჟუაზიული ნაციონალისტების ჯგუფმა, რომელსაც ბარამია მეთაურობდა, თავისი მტრული მოღვაწეობით ჩვენს რესპუბლიკას შავი და ამაზრზენი ლაქა მოსცხო“...

უშიშროების სამსახურმა იეზუიტური მეთოდებით დააწამებინა ციგება და ალბათ არც მაშინდელი შიში, დამცირება და შეურაცხყოფა დაწერილა ყინულზე (ჯერ მარტო მაშინდელი მწარე ხუმრობა რად ღირდა, „საქართველოში იებს კრეფენო“ – მეგრული გვარების ია-ზე გათამაშებით). და ახლა მეჩვენება ხოლმე, რომ, როცა სამეგრელო მწვავედ (ზოგჯერ იქნებ მეტისმეტად ემოციურად და ხაზგასმულად) რეაგირებს ამა თუ იმ უსამართლობაზე, ეს მაშინ მოჭიმული ნერვების შორეული თრთოლვაა.

ჰოდა, სიტყვა მინდა დავასრულო ჩვენი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკანებისადმი მიმართვით, რომლებიც ძალზე თამამად და იოლად მანიპულირებენ კუთხური ფასეულობებით: დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ჩვენი ერის ისედაც ნა-

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

### ფარსი

**რაც შეეხება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ზაქარია კეცხოველს, მანაც ძირითადად ვ. ბაქრაძის ხაზი გააგრძელა. ამასთან, საკითხი სხვა კუთხით დასვა – წლევანდელი აპრილის შემდეგ, ანუ ცკ-ის პრეზიდიუმში „ნაციონალისტი მეგრელების საქმის“ განხილვისა და მათი გათავისუფლების შემდეგ, საქართველოში ი. სტალინის ახლობელი ადამიანების დევნა-შევიწროება დაიწყოო.**

ე. წ. მეგრელი ნაციონალისტების საკითხი, ამ მოვლენის შესახებ არსებული დოკუმენტების შეფასებისას, ხდება იმ ფაქტის იგნორირება, რომ ი. სტალინმა პარტიის ყურადღება მიმართა ნაციონალიზმის არსებულ გამოვლინებაზე. ბერიამ ი. სტალინის შემდეგ ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება ხელაღებით ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებაზე. მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა მათგანი ნაციონალისტი იყო ან არსებობდა ორგანიზაცია, მაგრამ მათ შორის ისეთები კი იყვნენ, ვინც მსხვილ ბოროტმოქმედებაში იმხილებოდა. ამ საქმეში კარგად გარკვევაა საჭირო. ხოლო ის, რომ მთელი საქმე დავიყვანოთ ბერიას სურვილამდე, პოპულარული გამოჩენილიყო, ჩემი აზრით, არასწორიაო, – გადაჰკრა ბულგანინს ზ. კეცხოველმა (შეიძლება მისდაუნებურადაც – მაშინ ასეთი სითამამე უჩვეულო და მოულოდნელი იყო).

**– უკანასკნელ პერიოდში ბერიას სამდივნოდან სურვილისამებრ განკარგულებებს იძლეოდა შარია, საქართველოში კი ბრმად და უსიტყვოდ ასრულებდნენ მის განკარგულებებს ბერიასთვის არასასურველი ხალხის გადაყენების და საჭირო ადამიანების დანიშვნის შესახებ. შეიძლება ეს ნაციონალიზმი არ არის, მაგრამ ყველა შემთხვევაში დიდი საძაგელი რამ არის, – ასე დაასრულა გამოსვლა ზაქარია კეცხოველმა.**

პლენუმის დასრულების შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ალიოშა მირცხულავას, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას არც მწვადი დაწვა და არც შამფური, ანუ ბერია კი გააკრიტი-

**გაგრძელება,**
**დასაწყისი იხილეთ**
**„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-86, 88-89, 90, 92-93**



ვარლამ კაკუჩაია




ვლ. დეკანოზოვი



შალვა წერეთელი

13 ივნისს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმების გაერთიანებული სხდომა გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ აქტივთან ერთად. მასზე მიწვეული ჰყავდათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა სარდლის, არმიის გენერალ ალექსი ანტონოვის მეთაურობით. მათთან ერთად იყო გენერალი პავლე ბატოვიც.

იგი მოსკოვიდან კარგად იცნობდა ალიოშა მირცხულავას, იცოდა, რომ იქ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა და ახლა ეგონა, ისიც მოსკოვიდან არის მოვლინებულიო. სანამ პლენუმი დაიწყებოდა, მან ალიოშა გვერდზე გაიყვანა და გაანდო მისთვის ნ. ხრუშჩოვისა და ნ. ბულგანინის მიერ მიცემული საიდუმლო დავალება – საქართველოში მოსალოდნელ გართულებათა ჩახშობა. გაკვირვებული იყო, აგერ ხუთი დღეა თბილისში ვარ, რამდენჯერმე ანტონოვთან ერთად დღითაც და ღამითაც შემოვიარე ქალაქი და ახლომახლო რაიონები, მაგრამ რაიმე საეჭვო, უკა. ანტონოვს, ნუ ეტყვით ჩემს წეღანდელ ნათქვამსო და როცა დარწმუნდა, მასპინძელი მის შეცდომას საიდუმლოდ შეინახავდა, მაშინღა გამოიხედა თვალში.

პლენუმი (და შემდგომი მოვლენებიც) მართლაც მშვიდად წარიმართა. სხვათა შორის, მხოლოდ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ოთარ ეგაძემ გაბედა და მოსკოვიდან ჩამოსულ სკკპ ცკ-ის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ევგენი გრომოვს მოსთხოვა, ერთი ფაქტი მაინც დაგვისახელეთ ბერიას ძირგამომთხრელი საქმიანობის დასტურად, კონკრეტულად რომელი იმპერიალიტური ქვეყნის აგენტი აღმოჩნდა იგი და რა სახელმწიფო საიდუმლოება გასცაო, რითაც ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო სტუმარი, რადგან არავითარი კონკრეტული პასუხი მას არ ჰქონდა.

მაგრამ ლ. ბერიას ბრალი და დანაშაულობანი და მის თავს დატრიალებული ამბის სამართლიანობა-უსამართლობა სულ სხვა განსჯის თემაა. ეს ბოლო ეპიზოდი, უბრალოდ, იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, თუ როგორ შიშობდა მოსკოვი, რომ ლავრენტის დამხობას საქართველოში გამოსვლები და არეულობა მოჰყვებოდა და ჩუმად როგორ გეგმავდა სისხლიან ანგარიშწორებას.

* * *

**„მეგრელთა საქმე“ ბოლო მასშტაბური ჩეკისტური სიყალბე აღმოჩნდა. მას, როგორც ვნახეთ, არანაირი იურიდიული სარჩული არ ჰქონდა, მხოლოდ „პარტიის ნებას“ ეფუძნებოდა. მაშინ ასე იყო: პარტიის ნება, ანუ ცეკას გადაწყვეტილება სისხლის სამართლის კოდექს უთანაბრდებოდა, ხშირად აღემატებოდა კიდეც.**

ლი ადამიანებს საკუთარ თავზე. მიხა ბარამიას დააწერინეს: **„1949 წლიდან დავუახლოვდი ნაციონალისტურად განწყობილ მეგრელებს, რომელთაც ხელმძღვანელი პოსტები ეჭირათ საქართველოს პარტიულ და მთავრობის ორგანოებში, შევქმენი მათგან მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფი და მასზე დაყრდნობით დავიწყე ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა“.** მიხას მეუღლეს ალექსანდრა იოსავას „აღიარებინეს“, რომ იცოდა ქმრის ანტიპარტიული, ანტინაციონალისტური მოღვაწეობის შესახებ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ასისტენტად მუშაობდა, თავის გარშემო იკრებდა დამნაშავეებს და მლიქვნელებს და ამით ქმარს ხელს უწყობდა მტრული მიზნების განხორციელებაში. პეტრე შარიას ათქმევინეს, „მეგრულ-ნაციონალისტურ ჯგუფში ავქსენტი რაფავამ ჩამითრიაო, ჩაჩიბაიას კი მის გადამბირებლად თვით ბარამია დაასახელებინეს...

მას შემდეგ შვიდი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ბოლომდე, ძირძირობამდე მაინც გაურკვეველი დარჩა ამ საქმის ავტორთა ჩანაფიქრის მიზანი და დანიშნულება.

ხატოვნად რომ ვთქვათ, გადაიქროლეს ქარიშხლებმა, წყალნი წავიდნენ, წყალნი მოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი...დღეს აღარც საბჭოთა კავშირია და აღარც საბჭოთა რეჟიმი. იმ აბსურდული, სამარცხვინო და გაუგონარი „საქმის“ მონაწილეთაგან აღარავინ შემორჩა. მაგრამ ცოცხლობს ხსოვნა გადატანილ დიდ განაცდელზე, ქართველების ერთიანობაზე დაღირებულ მახვილზე, უნასივით გასისინებულ ეჭვებსა და ჭორებზე, ადამიანთა ქვებუდანობასა და გაუტანლობაზე.

დიახ, უკვალოდ არაფერი იკარწამები დაა დაღლილი სხეული მეტ მოსათუთებას საჭიროებს. გავუფრთხილდეთ მასაც და ერთმანეთსაც!

აქვე ერთ საკითხზეც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

არის მოარული აზრი, რომ მაშინ, 1950-იანი წლების დასაწყისში, თითქოს განზრახული იყო „მეგრელთა მასობრივად აყრა და საქართველოდან გასახლება“.

მაგრამ ეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერება არ არის. მაგალითად, სქელტანიან ჟურნალ „აიას“ (ქუჯი-ფარნავაზის საზოგადოების ჟურნალი) 2000 წლის მე-8 ნომრის პუბლიკაციაში წერილობით, როგორც უტყუარი ფაქტი, არის „დადასტურებული“ ასეთი გეგმის არსებობა:

**„...გაგვაფრთხილა, რომ იწყება თბილისში მცხოვრებ მეგრელთა აღწერა, მათი დეპორტაციის მიზნით. ვერ გეტყვით, თბილისიდან უპირებდნენ გასახლებას თუ საერთოდ საქართველოდან“.**

„...ეს დიდი ტრავმა იმ დიდი გრძნობიდან მოდიოდა, რომელიც მე იმ ქვეყნის მიმართ მქონდა, საქართველო რომ ჰქვია და რომელმაც იქიდან გასახლება მომინდომა. ვიმეორებ, არა აქვს მნიშვნელობა, რომ ის ვერ განხორციელდა, იგი უკვე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღებით“.

„...როცა დაიწყეს მეგრელების დევნა-დაპატიმრება და მზადდებოდა მათი მასობრივი დეპორტაცია“.

„აკ. მგელაძე, ნ. რუხაძე, ა. ბერიშვილი, გ.ელისაბედაშვილი, ვ. ეგნატაშვილი და მისთანანი, ხომ „მეგრელთა საქმის“ აგორებით არწმუნებდნენ სტალინს მთელი სამეგრელოს მოსახლეობის აყრისა და გასახლების აუცილებლობაში“.

იმ წერილების ავტორები, საიდანაც ეს ციტატები ამოვარიდე, ფრიად პატივსაცემი ადამიანები არიან, უპირველეს ყოვლისა, იმ ღრმა ტკივილისათვის, რასაც 1990-იან წლებში სამეგრელოსთვის ნებსით თუ უნებლიეთ მიყენებული წყენის გამო განიცდიან. მე მათ გულწრფელად ვუთანაგრძნობ. ის, რაც მოხდა, არამც და არამც არ უნდა მომხდარიყო და ეს მხოლოდ მათი კი არა, ჩემიც, როგორც რიგითი ქართველი კაცის და მილიონობით ჩემნაირის პირადი ტკივილი, შეურაცხყოფა და დამცირებაც იყო და არის.

ოღონდ, წყენამ არ შეიძლება აბსურდამდე მიგვიყვანოს. ჯერ ერთი, ულოგიკობით და უსაფუძვლობით გამაოგნა სიტყვებმა: **„სამეგრელო რომ ჩა-**

**მორჩენილი იყოს, ამის სურვილი ბევრს აქვს საქართველოში და ცდილობს კიდეც... ამიტომ ებრძოდნენ სამეგრელოს ავტონომიას, რადგან მაშინ მისი დიდი პოტენციალი ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის თუ სხვა სფეროებში, რომელიც მის გარეთ იფურჩქნება და იხარჯება, ადგილზე დარჩებოდა...“**

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი შემდეგ მოდის: **„სიცხე და სიწითლე ვიგრძენი, როცა დღეს ვდგევარ არა მარტო საქართველოს მოქალაქეობაზე, არამედ საერთოდ ქართველობაზე უარის თქმის ზღურბლთან“.**

შეიძლება განაწყენდე ხელისუფლებაზე, ადამიანებზე, მაგრამ სამშობლოზე განაწყენება არ შეიძლება!..

თუმცა, მთელი ეს „ფილოსოფიური წიაღსვლა“ მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, მთავარი სათქმელი კი სხვა მაქვს: „აიას“ ავტორები ცდებოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, მეგრელთა მასობრივი გასახლება იყო გადაწყვეტილიო.

საიდან, რის საფუძველზე, რომელ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცხადდებოდა ეს ჭორი სინამდვილედ?

არ ყოფილა ასეთი რამ, არავის მოსვლიია თავში, მათ შორის – სტალინს. ნუ ავკიდებთ მას კიდევ ერთ მძიმე ცოდვას. ნურც – აკაკი მგელაძეს. სხვათა შორის, იგი პირველი დააფრთხო მეგრელთა რეპრესიის მზარდმა მასშტაბმა და ცეკას პლენუმზე ყველას გასაგონად განაცხადა, ხდება დამახინჯებები – ზოგიერთები პატიოსან მეგრელ მუშაკებსაც ანტიპარტიულობას აბრალებენო.

ასე რომ, მაშინ აგორებული ჭორი დიდხანს ცოცხლობდა და უწამლავდა სმენას ადამიანებს.



პაველ ბატოვი

ერთიც ვთქვათ, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ასეთი განზრახვა მართლაც იყო. რა შუაშია აქ საქართველო (გაიხსენეთ: „საქართველო...რომელმაც იქიდან გასახლება მომინდომა“.)? თანაც, თურმე, მნიშვნელობა არ ჰქონია, რომ ეს გასახლება ვერ განხორციელდა, რადგან **„იგი უკვე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღებით“.**

კვლავ ვიმეორებ: რა შუაში იქნებოდა საქართველო, ეს ველური გადაწყვეტილება კიდეც რომ მიღებულიყო? რა შუაში იყო საქართველო მთელი „მეგრელთა საქმის“ გამო, თუმცა კი სტალინიც, მგელაძეც და რუხაძეც ქართველები იყვნენ? ვინ რას ეკითხებოდა საქართველოს და ქართველ ხალხს?

განა საქართველო იყო დამნაშავე 1952 წელს მისი ტერიტორიიდან „მტრული ელემენტების“ – რეპატრიანტების, ნატყვევარებისა და მათი ოჯახის წევრების – 12 ათასი ქართველის შუა აზიაში გადასახლებაში, თუმცა, საკავშირო მთავრობამ ეს აქცია ვითომც სწორედ „საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის თხოვნით“ განახორციელა?

**(გაგრძელება იქნება)**

**დადუნ თურქაძე**

# მესამე

**უახლესი დღეების ანალები**



## მესამე თუ...უკანასკნელი?

1
ვხედავ, არ გახსოვთ,
არც პირველი,
აღარც მეორე,
ვერც იმას ამჩნევთ
ჭიუტ თხებს, რომ
ვეღარ მწყემსავენ,
„მემენტო მორიც“
დაგავიწყდათ,
არც ის გაფიქრებთ –
სოკოს მირაჟის სიცხადით,
რომ
მოდის მესამე!

2
ასეა, რადგან
კარიბის ზღვის კომპოზიციით
დაინტერესდნენ
პოლიტდრამის აქტიორები,
ცხელ თავებიდან
გადმოღვრილი
მღვრიე დინება
ხელად შევკმაზეთ
სურნელოვან,
„ცივი ომებით!“

3
მკბენარებივით შეაცოცდნენ
ელიტ-ვანდალნი
დროს, და, დაიწყეს
აღოღება,
შეძრომა, ძრომა,
და, „ცივი ომით,“ შეკმაზული
„აჯაფსანდალი“,
ინფორმაციულ ნაყალბევის
შეთქვლიფა ომმა!

4
სიტყვას მოჰყვა და ღამის
ფრთოსანთ
ფარმაციაზე
ისე ნატიფად გადაეწყვენ
ჯანმოს „იქსები,“
ცოტაც და, ალბათ,
გაუსწრებდა
კლასით მესამეს
ეფემერული ჟამი უხმო
პარაკლისებით!

5
აი, სულ ასეთ, ლირიკულ და
ულტრალირიკულ
ლმობა-ტკბობაში გაილია
არსი რაობის,
და დედაარსი არსებობის
იქცა ცინიკურ
მჭევრმეტყველებად,
ექსტრემალურ
გამბედაობის!

6
ყოფნა-არყოფნის შემეცნების
დასრულდა ერა,
ურწმუნოებამ
ურწმუნოთა
შვა „ხსნის“ ქარტია
თავისუფლებამ გადაიკრა
ტყავი ველურის,
აზრი დაჰკარგა
თვით სიცოცხლის
ქრესტომათიამ!

7
ბრმა თვალსაწიერს,
შემორკალურს
ცეცხლის ბადურით
სულ არ აღელვებს მიწის
კვნესა,
ზეცის მუდარა,
და დაგესლილნი
კოლონიურ ნომენკლატურით
კაცობრიობა თავის ხელით
იქსოვს სუდარას!

8
გაღმა-გამოღმა,
(რა ხრეითი! )
ბაზრის კონტექსტით,
ხელდაბანილნი,
ვქმნით კონტინენტს
ახალ პოლუსით;
და იბადება, როგორც
ერთდროს,
ფრანგულ გროტესკში,
პროანგლო-საქსი,
პროქართველი,
(ვბედავ...) პრორუსი!

9
ჩვენც რა? ჟამთა სვლით,
უბედობით,
თუ ბედისწერით,
გარდასახულმა
პრობუნდოვან
ანტიპოდებად,
გლობალურ უღელს
შევაფარეთ
ღირსება ერის,
მცნება – „სამშობლო“ –
ისტორიულ სახელწოდებას!

10
თუმც, დაბინდული,
თანაგრძნობის
მშრალი ბურნუთით,
ვინ იტყვის, ორი მებატონის,
ვგავართ მსახურებს,
ანდა, გვერჩიოს სხვისი,
თუნდაც,
„ოქროს გუმბათი,“
უფლისციხეში გამოკვეთილ
გამოქვაბულებს!

11
თუმცა, ჯერ მაინც...ეჰ, რომ
მაინც,
ვერ ვბედავთ, ანგლად
აღმა ავუყვეთ, ნეტარების
დაღმა დინებას,
აბა, რა! ასე, ხელაღებით,
ხომ ვერ „გავფლანგავთ“
ქუჩის ანშლუსის
მენტორების
გამოცდილებას?!

12
თანაც, ვგრძნობთ, ვით
სცვლის
ღრენა-ყეფას
ჩუმ-ჩუმად კბენა,
ღრმა ჭურშიაც კი, ესმით
ბირთვულ
ბრაზით ძახილი,
„დისნეი ლენდის“
ბინადარნი,
ჩვენს კეთილ სანტას,
ფრთხილად გადაჰყავს
უღრან ტყეში, თავის
მარხილით!

13
დავძენ ბარემღა, აქვე,
რადგან
ამეკვიატა,
დამაფიქრებელ შთაგონებად
სახე მაკლერის,
გაცრეცილ ფურცლებს „მაინ
კამფის,“
ვით „ილიადას“,
როგორ ფურცლავდნენ,
გულამოსკვნით,
ის და კანცლერი!

14
ჰოდა, რად გვიკვირს, თუ
ტანკები
ხრავენ სახნავებს,
რად დაეძებენ, სიზმრად,
ჯვრებში,
მამრებს მდედრები,
რატომ დასჩემდათ
თვლის დროს შიში
ასე „მკვდარ ცოცხლებს“
ყინულის ლოდში ჩაკირული
„ცოცხალ“ ცხედრების!

15
ჩვენ რა?... წარსულის,
თუ არ
განვსჯით გამოცდილებას,
თუ არ ვისწავლით, ამბის
ახსნას,
მგლისა და კრავის,
ჯაჭვს არ გადურღნის
კლდეს მიჯაჭვულ ამირანს
ყურშა,
ვაგლახ, რომ ისევ
„დაგორდება,“
ურდოში თავი!

16
ამის შეცნობით, შთაგონებას
ვცვლი შეგონებით,
სხვა რა ვიღონო,
ან, რა გითხრათ,
თქვენი, კვნესამე?
როცა შეშლილის გააზრებით,
წაშლილ გონებით,
ყოველი მხრიდან,
ფრთებგაშლილი,
მოდის მესამე!

25 ივნისი, 2025 წელი.

# ზაფხულის საბაზისო კურსები საჩხერეში

**პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა სამი კვირის განმავლობაში ამერიკელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილ „სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსს“ მასპინძლობდა,** – ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

**სწავლებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიისა და აშშ-ის ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიის და საქართველოს სპეციალური ოპერაციების სარდლობის სამხედრო მოსამსახურეები.**

კურსის გამოშვების ცერემონიალს დაესწრნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე **გრიგოლ გიორგაძე,** თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი **ზაზა ჩხაიძე,** წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი, პოლკოვნიკი **ზურაბ ხვიჩია,** სპეციალური ოპერაციების სარდალი, პოლკოვნიკი **თეიმურაზ ყლატეიშვილი** და თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის ოფიცერი, მაიორი **ალეკ ჰარისონი.**



**კურსი, რომელიც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობდა, საჩხერისა და ჭიათურის სასწავლო უბნებზე ჩატარდა. სწავლების ძირითადი დრო სამხედრო მოსამსახურეების სამთო ტექნიკურ მომზადებას დაეთმო.**

**სწავლების მონაწილეებმა სკოლის ინსტრუქტორების დახმარებით კლდეზე ცოცვის, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის, ფიქსირებულ თოკზე ასვლა-დაშვების, მდინარის ფორსირების, მთიან რელიეფზე უსაფრთხოების დაცვით წესების გადაადგილების, დაშავებულისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის, კოლექტიური გადარჩენისა და ევაკუაციისთვის საჭირო ტექნიკა შეისწავლეს. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ“.**

# ირანში დღემდე ჰგონიათ, რომ აზერბაიჯანი მისი კუთვნილებაა!

**ირანულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა, პრაქტიკულად, ყოველთვის მტრული და, შესაბამისად, რთული იყო. მათ შორის, დღესაც არსებობს გადაუჭრელი საკითხები. ერთმანეთის მიმართ არაერთი პრეტენზია აქვთ, რომლის მიზეზები ისტორიულ ანალებში უნდა ვეძიოთ. აზერბაიჯანული ეთნოსი დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა.**



თურქმენჩაის მოლაპარაკება. 1828 წელი

პროცესი, ძირითადად, მე-15 საუკუნის ბოლოს დასრულდა. აზერბაიჯანი, წინათ, მის დღევანდელ ტერიტორიასაც და ახლანდელი ირანის ჩრდილო-დასავლეთ მიწებსაც მოიცავდა. მაშინ, სამხრეთ-კავკასიის მთელი ტერიტორია, აზერბაიჯანის ჩათვლით, სპარსეთის იმპერიაში შედიოდა. აზერბაიჯანელებს, იმ დროს, როგორც სხვა თურქ მომთაბარე ტომებს, ყიზილბაშებს უწოდებდნენ.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, ავღანელების შემოსევების შედეგად, სპარსეთის სეფიანთა იმპერია დაეცა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი, დამოუკიდებელი სახანოები გაჩნდა. სახანოები ირანის შაჰის ვასალები იყვნენ. პეტრე დიდის მეფობის დროს, რუსეთი კავკასიით დაინტერესდა. 1722-23 წლებში რუსეთსა და სპარსეთს შორის ომი იყო, რომელიც რუსულ ისტორიოგრაფიაში პეტრე პირველის სპარსული კამპანიის სახელითაა ცნობილი. რუსეთი ომით კასპიის ზღვაზე გაბატონებას ცდილობდა. ოსმალეებმა დრო იხელთეს და სპარსეთში შეიჭრნენ. ოსმალეების მოსაგერიებლად, სპარსეთს რუსეთთან დათმობებზე წასვლა მოუწია. სპარსეთმა რუსეთს ჩრდილოეთ კასპიის ნაწილი, დაღესტანი და აზერბაიჯანის ჩრდილოეთი მიწები დაუთმო.

მე-18 საუკუნის ბოლოს, სპარსეთში ყაჯარების დინასტია და მისი პირველი შაჰი აღა მაჰმად ხანი გაბატონდა, რომლის დროს, თითქმის, მთელი სამხრეთ კავკასია, მათ შორის, საქართველო და დაღესტანი, სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. აღა მაჰმად ხანის დროს, სპარსეთსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი ომები გაჩაღდა. ორი იმპერია სამხრეთ კავკასიის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა. მათ შორის, მე-4 ომი 1804 წელს დაიწყო. ეს ის დროა, როცა თითქმის მთელი საქართველო რუსეთის იმპერიამ შეიერთა. 1804 წელს, კავკასიიდან ჯარების გაყვანის შესახებ, სპარსეთმა რუსეთს ულტიმატუმი წაუყენა. დაიწყო სპარსული სამხედრო ძალების მობილიზება. ამასობაში, საქართველოში გამაგრებულმა რუსულმა არმიამ, გენერალ ციციანოვის მეთაურობით, ეჩმიაძინსა და ერევანს შეუტია. ასე დაიწყო ომი, რომელიც 1813 წლამდე გაგრძელდა.

იმ დროს, რუსეთის არმია ერთ-ერთი უძლიერესი იყო ევროპასა და დასავლეთ აზიაში. სპარსეთი კი, ომების შედეგად, დღითიდღე სუსტდებოდა. შეშინებულმა სპარსეთმა, 1813 წელს, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო. ყარაბაღის სოფელ გულისტანში, ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, სპარსეთმა, არაქსის ჩრდილოეთით, ტერიტორიები დაკარგა და დაკარგულ მიწებზე რუსეთის მმართველობა აღიარა. სპარსეთის მიერ რუსეთისთვის დათმობილი რეგიონი მოიცავ-



გრიბოედოვი ბანდიტებს ებრძვის...

და დაღესტანს, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებს; ბაქოს, დარუბანდის, შირვანის, ყარაბაღის, განჯის, შექისა და თალიშის სახანოებს. გარდა ამისა, სპარსეთმა კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება დაკარგა. ასეთი უფლებით, უკვე, მხოლოდ რუსეთის იმპერიას შეეძლო სარგებლობა. დამცირებული სპარსეთი ტერიტორიების დაკარგვას ვერ შეურიგდა და, 13 წლის შემდეგ, 1826 წელს, რუსეთის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყო. იმავე წლის ივლისში, სპარსელთა 60-ათასიანი არმია, აბას მირზას სარდლობით, ომის გამოუცხადებლად, ყარაბაღში, ხოლო, შამქორის მთებში, სპარსული კავალერიით, ალექსანდრე ბატონიშვილი შეიჭრა. ასე დაიწყო ახალი ომი რუსეთსა და ირანს შორის.

აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომ სპარსეთმა მთელი აზერბაიჯანის დაკავება შესძლო და საქართველოსა და სომხეთს შეუტია. საქართველოში მყოფმა გენერალმა ერმოლოვმა ძალების თავმოყრა და კონტრშეტევაზე გადასვლა მოახერხა. რუსეთის ჯარში, მოხალისეებად, ქართველებიც მიდიოდნენ. 1826 წლის 3 სექტემბერს, ერმოლოვმა შამქორთან სპარსელები დაამარცხა, 13 სექტემბერს კი, განჯასთან აჯობა. აბას მირზა იძულებული გახდა შუშის ციხის ალყა მოეხსნა. რუსებმა ბორჩალოზე ერევნის ხანის თავდასხმა მოიგერიეს. მალე, რუსეთი მთელ ფრონტზე გადავიდა შეტევაზე. ქართველი გენერლის გიორგი ერისთავის მეთაურობით, რუსეთის არმიამ არაქსი გადალახა და თავრიზში შევიდა, რითაც, რუსეთის არმიას თეირანისკენ გაეხსნა გზა.

სპარსეთის შაჰი იძულებული გახდა, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. 1828 წლის 22 თებერვალს, თავრიზის მახლობლად, სოფელ თურქმენჩაიში, რუსეთისა და სპარსეთის იმპერიებმა ხელი მოაწერეს თურქმენჩაის ზავს, რომლის თანახმად, რუსეთის შემადგენლობაში ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები შევიდა. ირანს 20 მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაეკისრა.

რუსეთს კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უპირატესი უფლება დარჩა. რუს ვაჭრებს ირანში შეღავათები მიეცათ და, რაც მთავარი და აზერბაიჯანისთვის ტრაგიკულია, თურქმენჩაის ზავის თანახმად, აზერბაიჯანი ორ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთი, ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია რუსეთის იმპერიაში შევიდა. სამხრეთ აზერბაიჯანი კი, სპარსეთმა ჩაყლაპა. ზავის მიხედვით, რუსეთ-სპარსეთის საზღვარი მდინარე არაქსზე გავიდა, რომელიც ირანსა და აზერბაიჯანს შორის ახლაც საზღვარია. მთელი სპარსეთი მტრულად შეხვდა თურქმენჩაის ზავს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ზავის ტექსტის ავტორი და მოლაპარაკების მთავარი წარმმართველი ცნობილი რუსი მწერალი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი იყო. ამ ზავით უკმაყოფილო იყო ინგლისის იმპერიაც, რადგან, ფაქტობრივად, ჩრდილოეთ აზიაზე გავლენა დაკარგა. ინგლისის წაქეზებით, სპარსელებში, მკვეთრი ანტირუსული განწყობა სუფევდა. 1828 წლის მაისში გრიბოედოვი სპარსეთში ელჩად დაინიშნა. 1829 წლის 11 თებერვალს სპარსეთის თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა რუსეთის საელჩოს დარბევა მოაწყო. მათ მიერ წაქეზებულმა ფანატიკოსებმა რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე შეაღწიეს და იქ მყოფი 37 ადამიანი, მათ შორის, გრიბოედოვი მოკლეს.

სპარსელებმა დარბევა იმით გაამართლეს, რომ საელჩოს, თითქოს, სომეხი დევნილები აფარებდნენ თავს, მათ შორის, ორი ქალი შაჰის ნათესავის ჰარამხანიდან. მაგრამ მთავარი მიზეზი თურქმენჩაის ზავით უკმაყოფილება იყო. დარბევაზე საპასუხოდ, რუსეთი სპარსეთთან ახალ ომს განიხილავდა, მაგრამ, მალე რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო და რუსეთის იმპერატორმა და სპარსეთის შაჰმა ინციდენტის დიპლომატიურად მოგვარება მოინდომეს. შაჰმა რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს დიდი ბრილიანტის თვალი და წერილობითი მობოდიშება გაუგზავნა. ასე ამოიწურა ეს ინციდენტი. აზერბაიჯანი კი, სამუდამოდ დარჩა გაყოფილი. დღევანდელი ირანის აზერბაიჯანული ტერიტორია, თითქმის, ორჯერ აღემატება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ტერიტორიას. ირანში 15-მილიონამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს.

**თურქმენჩაის ზავის შემდეგ, მაშინდელი სპარსეთი და დღევანდელი ირანი ცდილობდა და ცდილობს აზერბაიჯანელთა ეროვნული იდენტობის ნიველირებას. ორი საუკუნის მანძილზე ხდებოდა ირანელი აზერბაიჯანელების ასიმილაცია. ირანში დღემდე მიაჩნიათ, რომ აზერბაიჯანი ირანის ერთ-ერთი კუთხეა...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**



# კიდევ კარგი. ილონ მასკს სახლში დაბრუნება არ მოუწია...

**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ილონ მასკს სოციალურ ქსელში.**

დონალდ ტრამპი truth social-ზე წერს, რომ ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ელექტრომობილების მანდატის და ეს მასკმა იქამდე იცოდა, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებში მას მხარს დაუჭერდა.

**„ილონ მასკმა დიდი ხნის წინ იცოდა, ვიდრე მხარს დამიჭერდა პრეზიდენტობისთვის, რომ მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი ელექტრომობილების მანდატის. სასაცილოა და ეს ყოველთვის იყო ჩემი კამპანიის ნაწილი. ელექტრომობილები ნორმალურია, მაგრამ ყველა არ უნდა იყოს იძულებული, იქონიოს ერთი მაინც. ილონმა იმაზე მეტი სუბსიდია მიიღო, ვიდრე ვინმემ ისტორიაში და სუბსიდიების გარეშე ილონს მოუწევდა მაღაზიის დახურვა და უკან სახლში, სამხრეთ აფრიკაში დაბრუნება. არანაირი რაკეტების გაშვებები, თანამგზავრები და ელექტრომანქანების წარმოება და ჩვენი ქვეყანა ფულს დაზოგავდა. იქნებ, მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტმა ამ საკითხს მკაცრად შეხედოს? უზარმაზარი თანხები დაიზოგება“,** – წერს **ტრამპი.**

# ერიკ ტრამპი მამის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას თავადაც მიიღებს

**დონალდ ტრამპის ვაჟი ერიკ ტრამპი არ გამორიცხავს, რომ შეერთებული შტატების მომდევნო არჩევნებში ტრამპების ოჯახის რომელიმე წევრმა მიიღოს მონაწილეობა,** – შესაბამისი განცხადება მან Financial Times-თან ინტერვიუში გააკეთა. გამოცემა აღნიშნავს, რომ



პრეზიდენტის ვაჟის ეს განცხადება უფროსი ძმის დონალდ ტრამპ უმცროსის პოლიტიკურ ამბიციებზე ერთგვარი მინიშნებაა, რომელიც პოლიტიკურ ამბიციებს ღიად გამოხატავს.

**„ნამდვილი კითხვაა: გსურს ჩართო შენი ოჯახის სხვა წევრები ამ პროცესში? მინდა თუ არა, რომ ჩემმა შვილებმა იგივე გამოცდილება მიიღონ, რაც მე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში? იცით, თუ პასუხი იქნება კი – ვფიქრობ, პოლიტიკური გზა მარტივი იქნებოდა, ანუ, მგონია, რომ შემეძლო ამის გაკეთება. და სხვათა შორის, ვფიქრობ, ჩვენს ოჯახში სხვა წევრებსაც შეუძლიათ ამის გაკეთება“,** – აღნიშნა **ტრამპმა.**

## ტრამპი:

# თუ ნატოს წევრები ხარჯებს მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-მდე არ გაზრდიან, მათთან მუშაობას შევწყვეტთ!

**შეერთებული შტატები ნატოსთან თანამშრომლობას შეწყვეტს, თუ ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვითი ხარჯების მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-მდე გაზრდას არ დათანხმდებიან,** – კიდევ ერთი გამაფრთხილებელი განცხადება შეერთებული შტატების პრეზიდენტმა Fox News-ისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში გააკეთა.

**„თუ ისინი ხარჯებს მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-მდე არ გაზრდიან, მათთან მუშაობას შევწყვეტთ“,** – განაცხადა ტრამპმა. 2025 წლის ჰააგის სამიტზე ნატოს წევრებმა უკვე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ალიანსი მხარს უჭერს თავდაცვითი ხარჯების ზრდას მშპ-ის 5%-მდე.

## 6: ეპილოგი: არადეკლარირებული ლოცვა საქართველოსათვის

**მართალია, წინა მოგზაურობებში ჩვენ უკვე შევეხეთ თემო ნაცვლიშვილის მნიშვნელოვან, ზოგჯერ საკვანძო ქმნილებებსაც, მაგრამ კიდევ მრავალი რამ დაგვრჩა გასაანალიზებელი თუ ჩასაწვდომი...**

ჯერ ისაა გასარკვევი, რატომ აღმოჩნდა მის სკულპტურათა უმეტესობა მომცრო ზომისა? ეგების იმის გამოც, რომ იქნებ ამ უჩუმრად, უამბიციოდ და უანგაროდ მოღვაწე ხელოვანს არც კი იზიდავდა ქანდაკების მეშვეობით – დიდი სივრცეების „დაპყრობა“. მისთვის როგორც ჩანს, ბევრად არსებითი გამოდგა პირველყოვლისა, საზრისისეული ძიებე-



მაცნე

ბი, ღირებულებათა სივრცის დამკვიდრება, თუგინდ მოკრძალებულმასშტაბიანი ნაწარმოებების შექმნის გზით.

აქ მახსენდება გრიგოლ რობაქიძის ერთი გამონათქვამი: „ვხედავ ფარსმანს და მჯერა – საქართველოო“. ბატონ თემოზე ამ კონტექსტში ითქმის, რომ მას სწამდა საქართველო! ის დიალოგში შედიოდა სწორედ ამდაგვარი მტკიცე მრწამსის პიროვნებებთან. ასეთია მისი კოტე მარჯანიშვილი – დაუდგრომელი, ანთებული, ძლიერ კონცენტრირებული, საკუთარი დადგმების „წინა“ და „შინამხილველი“; ასეთია გალაკტიონი – უცნაურად „ცადაქნილი“, ზეაღტყინებული; მეტად შთამბეჭდავი ჩანს პატრი თამარაშვილი, ორთავე ვარიანტით, რომლის პლასტიკაში ზემტკიცე ნებელობაა ხორცშესხმული და უკანდაუხეველი რწმენა სამშობლოს მნიშვნელოვანებისა; რაღა თქმა უნდა, სხვარიგი ძალმოსილებით აღჭურვილად, სულიერად უდრეკად და მთელი ერის ენერგიის შემომკრებელად აღვიქვამთ ფარნავაზს, რომელმაც დააფუძნა გადამწყვეტი რამ, „მწიგნობრობა ქართული“ – ამ ძეგლის (ეს ცნება შემთხვევით არ მომიხმია) მნიშვნელოვანებააღვსილობას მხატვრულად ამძაფრებს ცოცხლად მაარქაიზებელი ფაქტურა; მწიგნობრობის ტრიუმფის გამოხატულებად აღვიქვი მეტად დახვეწილი პლასტიკური „სვლებით“ ყურადღებამისაპყრობი „ლეონტი მროველი“; ძალიან შთამბეჭდავია „ალექსანდრე ყაზბეგი“; მის ინტენსიურად რომანტიკული „ცეცხლით“ აღვსილობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი ჩანს ნაცვლიშვილისეული უტყუარად „ფორმამეტყველი“, ხატოვანად აზიდული, მგზნებარებით აღვსილი გადაწყვეტა; უაღრესად სარწმუნოდ აღვიქვი ვაჟას ინტერპრეტაცია – იგი თითქოსდა კლდის მასივიდან ამონაკვეთი, ძალზე თამამი, მკვეთრი ხერხებით დამაჯერებლობას ასხივებს და მისივე „სულსწრაფვის“ შესაბამისი, არაჩვეულებრივად მიკვლეული დინამიზმით გვიზიდავს.

მეტისმეტად ტრაგიკული და ღრმადჩამწვდომია „თევდორე ბერი“. აქ ძალიან ფაქიზი კონცეფციაა – რაღა თქმა უნდა, იგი გმირია, მაგრამ ნაჩვენებია ამასთანავე, ამ თავგანწირულ ადამიანში ერთი მხრივ, დაღუპვის შიშიც და, მეორე მხრივ, ასეთი განაცადის ძლევაც, გადალახვაც და სულიერი ამაღლებაც!!!

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №87, 88-89, 90, 91, 92-93**



### თემო ნაცვლიშვილი-100

# მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში



გოდება

არანაკლებ საგულისხმოა „ამირანი“ – თავისი ძლევამოსილი, „მზორგავი“ ფორმებით, ურთულესი „კინეტიკით“ პლასტიკისა. არ გამოვრიცხავ, რომ ქანდაკებაში ზ. კიკნაძის მიერ გაანალიზებული, ამ დიდმასშტაბიანი, ტიტანური „კულტურული გმირის“ სხვარიგად ტრაგიკული „გაბუდაყებაც“ კი იყოს გამოხატული. თუმცა, კარგად მესმის, რომ ეს სადავო ინტერპრეტაციაა.

თუკი შემოქმედის გაბედულებაზე ვისაუბრებთ, მისი „რუსთაველის“ მოულოდნელი და სრულებით უჩვეულო გააზრებაც უნდა გავიხსენოთ...

მომცველად ალეგორიულ ქმნილებათაგან „კახეთია“ გასახსენებელი, რომელშიც კლასიკური პლასტიკის სახეცვალება ჩანს საგულისხმო – თავისი მასშტაბურობით, ხატოვანებააღვსილი ფაქტურული მეტყველებით და „ძაბვა-რელაქსაციის“ ბალანსით.

ოსტატს იზიდავს მხედართა ძარღვიანი, „ფორმანაჯერობით“ აღსავსე ფიგურების ძერწვა. ამათგან ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს „შემართული“ ცოტნე დადიანიც; სივრცითად რთულადაღნაგი და ერთიანი რიტმით მობილიზებული „წითელი ცხენებიც“; ორიგინალური და თავისებურად გრაციოზული „თამარ მეფეც“ და უამრავი სხვაც. ხაზგასასმელია, რომ იგი არაჩვეულებრივი მრავალმხრივობით შეიგრძნობს არა მხოლოდ ცხენოსანთა, არამედ თავად ცხენის ურთულესი პლასტიკის საიდუმლოებებს.

ავტორის სხვა შესაძლებლობათა წარმოჩენის ნათელი მაგალითია „ლევ ტოლსტოის“ ვერსიები. რუსულ სკულპტურაში ძალიან ცოტა ნიმუში თუ გაგახსენდება (პაველ ტრუბეცკოის „ლევ ტოლსტოი“?), ასეთი სიღრმით რომ ჩასწვდომოდა კოლოსალური მასშტაბის მქონე მწერალ-მოაზროვნის „ფიქრამოუწურველ“ ხატებას. აქ ფუნდამენტურობაც და მღელვარებაც არის, კონცენტრაციაც, სენსიტიურობაც, ერთობილობაც და უდავო მრავალპლასტიანობაც...

თუკი ქართული ზღაპრის სივრცეში გადავერთვებით, პირველ ყოვლისა, „წიქარა“ გაგვახსენდება. აქ ოსტატმა ნათელყო მრავლისშემძლე და უერთგულესი „შემწე“ ხარის ფოლკლორისეული ჰიპერტროფირებული ძალამოსილება და მასზე „წამოსკუპებული“ ბიჭუნას თავის საიმედოზე საიმედო მეგობართან თანამყოფობის სიხარული – თანაც, სალხინო სალამურით ხელში... ამ დიდებულ ზღაპარზე გულსმოსახვედრი რამ ხომ თითებზე ჩამოსათვლელია! ასე მგონია, სწორედ „წიქარას“ ზღაპარმა დააწერინა ჩინებული ლექსი ხარზე ჩვენს დიდ პოეტს – შოთა ნიშნიანიძეს. მიმაჩნია, რომ ამ სკულპტურასა და შ. ნიშნიანიძისეულ „ხარს“ – ერთი სულისკვეთება გამოარჩევს.

დაბოლოს – ორიოდე სიტყვით, თემო ნაცვლიშვილისეული „გოდების“ შესახებ...

ეს მისი საუკეთესოთაგანი ქმნილებაა. მასში ავტორის ზემგრძნობიარობაა თავმოყრილი. არის ამ ქმნილებაში რაღაც სრულებით ამოუცნობი, ღრმადადამიანური და ღრმადჩამწვდომად ნეორომანტიკული. მეტისმეტად მეტყველია სამუსიკო ინსტრუმენტთან „გაერთსხეულებიანება“; ძალზე გამომხატველი ჩანს თავდავიწყებული პოზა; არა მხოლოდ უბრალოდ ეფექტური, არამედ ღრმად ორგანულია „ენტროპიული“ ფაქტურა; ძლიერ ზემოქმედია ხელების დელიკატური და თანაცვე – „მიმსწრაფველი“ შემხებლობა მახლობლად ქცეული საკრავის – ასე გეგონება, ცოცხალ ზედაპირთან...

მთელი მისი შემოქმედება – ესაა ძირისძირეული შეხვედრა საკუთარი ქვეყნის (და არა მარტო) წარსულთან, „ახლანდელობასთან“ და, თუ გნებავთ, სანუკვარად სასიკეთო მერმისთან. მართალია, ეს მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა უპირატესად მომცრო სახელოსნოშია დავანებული, მაგრამ არსებითად, უაღრესად ტევადია მხატვრის დიდი სამყარო – იგი მთელის აღქმას, გამომზეურებას, გაზიარებას! აი, სწორედ ამ სურვილით დაიწერა ფართო მკითხველისთვის შემოთავაზებული წერილების ეს სერია...

**სამსონ ლეჟავა,**
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

(დასასრული იქნება)



ამირანი



კახეთი



თევდორე ბერი

## გივი მიქანაძე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრია...

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის თანამდებობა გივი მიქანაძემ დაიკავა.**

განათლების ახალი მინისტრი მთავრობის ადმინისტრაციაში 30 ივნისს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** წარადგინა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, გივი მიქანაძეს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით და სიღრმისეული აკადემიური განათლება.

**„ორი სიტყვა მინდა, ვთქვა მის გამოცდილებასთან დაკავშირებით უშუალოდ განათლების, მეცნიერების სფეროში. მას აქვს ღრმა აკადემიური განათლება, არის იურისტი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე დიდ ბრიტანეთში, ინგლისში ესექსის უნივერსიტეტი. სადოქტორო დისერტაცია აქვს დაცული ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში. მას აქვს საჯარო სექტორში მუშაობის ძალიან ფართო გამოცდილება, ასევე ფართო პოლიტიკური გამოცდილება და უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სფეროში აქვს ძალიან დიდი გამოცდილება. ის წლების განმავლობაში იყო შსს-ს აკადემიის ლექტორი, იყო პედაგოგი, ლექტორი სხვადასხვა უნივერსიტეტში, არის არაერთი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. შესაბამისად, მას აქვს ძალიან ღრმა გამოცდილება განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ასევე, როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ის საქართველოს პარლამენტში იკავებდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ის არის იდეალური კანდიდატი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პოსტზე. მინდა, ბატონ გივის ვუსურვო წარმატებები ამ თანამდებობაზე“**, – განაცხადა პრემიერმა.



გივი მიქანაძემ მინისტრის თანამდებობაზე ალექსანდრე წულაძე შეცვალა, რომელმაც თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება 30 ივნისს გაავრცელა. ალექსანდრე წულაძემ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის თანამდებობა დატოვა.




## ჭიდაობა

**პაორლე (იტალია).** 15-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ბერძნულ-რომაული სტილი. საქართველოს ნაკრები – 4 მედალი.

**ოქრო** – ნიკოლოზ კუტუბიძე (57 კგ).

**ვერცხლი** – გაბრიელ თავბერიძე (52 კგ).

**ბრინჯაო** – გიორგი ჩხიკვაძე (41 კგ) და ნიკოლოზ ბელქანია (48 კგ). **თავისუფალი სტილი**. ჭვაროსანთა 13-წევრიანი დელეგაცია – 4 მედალი. **ვერცხლი** – საბა ონიანი (85 კგ). **ბრინჯაო** – დემეტრე მორთულაძე (48 კგ), ნიკოლოზ გუმბერიძე (75 კგ) და ლუკა დოთიაშვილი (83 კგ). ჩვენმა გუნდმა საერთო ჩათვლაში 83 ქულით IV ადგილი დაიკავა.

## რაგბი

**იტალია.** 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რაუნდი. I ტური. ირლანდია – საქართველო 35:28. **4 ლელო:** სპანდერაშვილი – 2, მარგველაშვილი, ხელაძე. **4 გარდასახვა** – თაყაიშვილი. მართალია, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან მძაფრ ბრძოლაში დავმარცხდით, მაგრამ 8 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგებისთვის

## კარგი ამბები

და 4 ლელოს დადებისთვის 2 ბონუსქულა მაინც დავიმსახურეთ.

**ახალი ზელანდია – იტალია 14:5.** 4 ივლისს უმცროსთა ოლ ბლექსს შევხვდებით.

## მხარე

**ამ დღეებში** აბაშამ რაიონის ახალგაზრდობის მონაწილეობით გამართულ სპორტ-ფესტს უმასპინძლა, ხოლო ზემო რაჭაში ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ნაკიეთსა და ჭიორაში ახალი სტადიონები გაიხსნა.

## ძიუდო

**სკოპიე (ჩრდილოეთ მაკედონია).** ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი. გუნდური მიქსი. **საქართველოს ნაკრები** – ბრინჯაო. ჭვაროსნებმა მოუგეს ავსტრიას – 4:1, ლიეტუვას – 4:2, ნახევარფინალში ფრანგებთან დამარცხდნენ – 1:4 და მესამე საპრიზო ადგილისთვის უთანასწორო ბრძოლაში პოლონეთი დაჯაბნეს – 4:0. შეგახსენებთ, რომ პირად ტურნირში 7 მედლით (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო) გუნდური III ადგილი დავიკავეთ.




# ბედის ირონია




**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ბუნებრივია, უპირველესად ხვიჩა კვარაცხელიასა და პარი სენ-ჟერმენის ფაქტორის გათვალისწინებით გვაინტერესებს, მაგრამ გუშინ ამერიკაში მოხდა ფაქტი, რომელმაც გეგმები შეგვაცვლევინა და ჩვენს ოქროს ბიჭუნას მოგვიანებით დავუბრუნდებით.**

როგორც მოგეხსენებათ, გასულ სეზონში **სიმონე ინძაგის** გაწვრთნილმა მილანის ინტერმა ერთმანეთის მიყოლებით დათმო იტალიის თასი, სკუდეტო და ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში კოშმარული მარცხი სწორედ ფრანგულ გრანდთან და მის ქართველ ვარსკვლავთან განიცადა, რის შემდეგაც სამშობლო დატოვა და ქერის ორმოს მიაშურა.

და აი, ერთხელ არა, მაგრამ პირველად ამერიკულ ფორუმზე გამოიჭედა სენსაცია, რომელმაც ტურნირს მის უმთავრეს ფავორიტთაგანი ჩამოაცილა და მისი ავტორი საუდის არაბეთის მოქმედი გვირგვინოსანი ალ ჰილალი გახდა, რომელშიც კარიერას... დიახ, აპენინებიდან გადმობარგებული სიმონე ინძაგი აგრძელებს.

**ალ ჰილალი – მანჩესტერ სიტი 4:3 (დ. დ.) ძირითადი დრო 2:2**

**გოლები: ლეონარდო (2), ნასერი, კულიბალი. ბერნარდო სილვა, ჰალანდი, ფოდენი.**

მართალია, მიმდინარე სეზონში არც **პეპ გვარდიოლას** გუნდი ბრწყინავდა, მაგრამ ოკეანის გაღმა იგი ერთადერთი გახლდათ, რომელმაც ჯგუფურ რაუნდში სამივე მატჩი მოიგო და ყველაზე მეტი ბონუსი ჩაიჯიბა, რასაც ცოტა თუ წარმოიდგენდა.

რაც შეეხება, პსჟ-ს, მან მესის ინტერ მაიამი დაჩაგრა – 4:0 (ნევეში – 2, ჰაკიმი, ავტოგოლი), თანაც გამოჯანმრთელებული დემბელე დაუბრუნდა და 5 ივლისს მეოთხედფინალში ბაიერნს შეხვდება.



# სპორტის რაინდის რაინდი ასული

**საერთოდ, მანდილოსნის ასაკს ცდილობენ ტაბუ დაადონ, მაგრამ სპორტის სამინისტრომ გამონაკლისი დაუშვა, თანაც ფრიად საპატიო მიზეზით, და 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სპორტის რაინდის პრესტიჟული წოდება მიანიჭა ქართული სპორტის ჭეშმარიტ მემატიანეს, ქალბატონ თამარ ვახტანგის ასულ ბალავაძეს. ვულოცავთ!**

ზაფხულის 6 და ზამთრის 3 ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტირებული ჩვენი ძვირფასი თანამედროვე 25 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ქვეყნის მთავარ სატელევიზიო არხზე. ვინ მოთვლის, გულშემატკივართა უამრავი სამაგიდო წიგნის ავტორმა რამდენი სიუჟეტი, რეპორტაჟი, ჩანახატი თუ საავტორო გადაცემა მიუძღვნა სპორტული სარბიელის რაინდებს. გვწამს, იგი კიდევ არაერთხელ გაგვახარებს აქტუალური გადაცემითა თუ გამოცემებით.

სიმბოლურია, რომ დღესვე სპორტის რაინდის რაინდ შვილს სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღესაც ვულოცავთ.

**იდღეგრძელეთ, კოლეგა!**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ქართულ სპორტული ჟურნალისტიკის სიამაყეს, პროფესიონალ კალმოსანს, რეპორტიორს და საავტორო გადაცემათა უბადლო წამყვანს**

**თამარ ვახტანგის ასულ ბალავაძეს**

**დაბადების დღეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.**

# ოდაბადეს სიამაყე




**ოქტაგონის რაინდი, დაუმარცხებელი „ელ მატადორი“, საგვარეულოს სიამაყე ილია თოფურია მუჰამედ ალის შეადარეს, რაც ნათლად მეტყველებს მის დიდოსტატობაზე.**

ჩვენთვის, სრულიად საქართველოსათვის და განსაკუთრებით, მისი სისხლისა და ხორცისათვის, აბაშის მკვიდრის მე-17 გამარჯვება მომავალი ტრიუმფების საწინდარია და, დარწმუნებულნი ვართ, როგორც **ხვიჩა კვარაცხელიამ** ფეხბურთში, სასახელო ოდაბადეს ისიც კიდევ მრავალჯერ განადიდებს. დიახ, დიდი ჩემპიონის მაგალითზე მომავალი თაობები დაფრთიანდებიან.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წარმატებათა ბილიკს უკვე შეუყვა ილიას უფროსი ძმა **ალექსანდრე.** მოკლედ, ოქტაგონზე თოფურიების ეპოქა დაიწყო. ჯერ სადა ხართ!

მომავალ გამარჯვებათა იმედით, უახლოესი სანათესაოს სახელით

**სოსო ნაყოფია.**

# ოკლაჰომა ნბა-ს ახალი ჩემპიონია!

**ახლა გადავიდეთ დასავლეთის კონფერენციაზე. კვლავ მოგვიწევს საუბარი ტრავმებზე. სტეფ კარის ტრავმის შემდეგ მინესოტამ ადვილად დაამარცხა გოლდენ სტეიტი. სერიის ანგარიშია 4:1.**

უნდა ითქვას, რომ დენვერის და ოკლაჰომას დაპირისპირებამ სავსებით გაამართლა მიმომხილველთა მოლოდინი და უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა. საჭირო გახდა შვიდი მატჩის ჩატარება. ოკლაჰომას წარმატება რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა. ის უფრო დასვენებული იყო ვიდრე დენვერი, რომელსაც შვიდი მატჩის ჩატარება მოუხდა კლიპერსთან და შედარებით დაღლილი ჩანდა. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად გამოჩნდა მეშვიდე მატჩში, რომელიც პირწმინდად დათმო დენვერმა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოკლაჰომას გაცილებით უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს, ვიდრე დენვერს. აღსანიშნავია, ალექსანდრე კარუზოს თამაში დაცვაში, განსაკუთრებით გადამწყვეტ

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №92-93

მეშვიდე მატჩში. მან შეძლო დენვერის აღიარებული ლიდერის ნიკოლა იოკიჩის მეტნაკლებად განეიტრალება. რაც წარმატების ერთ-ერთი საწინდარი გახდა. ოკლაჰომამ დაძაბულ ბრძოლაში მოიგო 4:3.

დასავლეთ კონფერენციის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოკლაჰომა და მინესოტა, ხოლო აღმოსავლეთში ინდიანა და ნიუ-იორკი. მიმომხილველები ფავორიტებად ასახელებდნენ ოკლაჰომას და ინდიანას. ოკლაჰომამ დამაჯერებლად მოუგო მინესოტას. მათ პირველი ორი მატჩი საკუთარ მოედანზე დიდი უპირატესობით მოიგეს. პირველი შეხვედრა 114:88, ხოლო მეორე 118:103. თითქოს სერიის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მესამე მატჩში მინესოტამ შეძლო და დამაჯერებელი რევანში აიღო 141:101 – მთელი 40 ქულით. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ოკლაჰომამ ეს მატჩი გაატარა. შესაძლოა, ეს სწორი იყო. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეოთხე მატჩი. ის იყო ყველაზე საინტერესო შეხვედრა. მთელი თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და ოკლაჰომამ უკანასკნელ წამებზე უკომპრომისო ბრძოლაში ძნელი გამარჯვება მოიპოვა – 128:126. მეხუთე მატჩი ჩვეულებრივ ფორმალობად იქცა და მასპინძელთა უპირატესობა არანაირ ეჭვს არ იწვევდა. მათ 30 ქულით გაიმარჯვეს –124:94. სერია 4:1 მოიგო ოკლაჰომამ და ფინალში გავიდა.

გაცილებით უფრო უკომპრომისო ხასიათს ატარებდა აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი ინდიანასა და ნიუ-იორკს შორის, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინდიანას მცირე უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. თითქმის ყველა შეხვედრამ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. შეიძლება ითქვას, რომ სერია მოულოდნელად დაიწყო. ნიუ-იორკმა უშეღავათო ბრძოლაში, უკანასკნელ წამებზე შინ ორივე შეხვედრა დათმო – პირველი ოვერ ტაიმში 135:138. ხოლო მეორე შეხვედრის ბედი ასევე ბოლო წუთებზე გაირკვა. დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლები დამარცხდნენ 109:114 ინდიანამ კარგი ჰანდიკაპი მიიღო. გასვლითი სერია ფრედ დასრულდა. პირველი მასპინძლებმა წააგეს 100:106. ნავსი მეოთხე შეხვედრაში გატყდა. სტუმართა წარმატებას წერტილი დაესვა, ინდიანამ შეძლო რევანშის აღება 130:121.ამის შემდეგ სერიაში გამარჯვების ბოლომდე მიყვანა ინდიანას არ გასჭირვებია. მეხუთე მატჩში ნიუ-იორკში მასპინძლებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს 111:94 და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა ინდიანამ ეს მატჩი გაატარა კიდეც და აქცენტი მეექვსე მატჩზე გააკეთა. მასპინძლების უპირატესობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა და მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა 125:108. სერიაში ინდიანამ გაიმარჯვა ანგარიშით 4:2.




**მერაბ კალანდაძე**

(გაგრძელება იქნება)

# განცხადება

**სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს**

## ღია კონკურსს

**შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

| | |
|---|---|
| 1. | მანქანათა დინამიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული. |
| 2. | მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული. |

**კონკურსის პირობები:**

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები; |
| კ) | შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2025 წლის 01 აგვისტო.** |
| | |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – ნინო დიდიშვილს ტ.: 599 141468, 2 329017 |

# ჟურნალი „რიწა“... და „მე, აფხაზეთისთვის“



## ჟურნალ „რიწის“ 50-ე წლის საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია და „მე, აფხაზეთისთვის“ 2025 წლის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჟურნალ „რიწის“ 50-ე წლის საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძე დაესწრო.**

ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

ჟურნალი „რიწა“ 1975 წლიდან გამოიცემა, თავდაპირველად სოხუმში, ხოლო შემდეგ დევნილობაში განაგრძო არსებობა. განახლებული გამოცემა ორენოვანია და მასში შესულია აფხაზეთელი პოეტებისა და მწერლების ნამუშევრები ქართულ და აფხაზურ ენებზე.

**ღონისძიების ფარგლებში აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს პროექტის „მე, აფხაზეთისთვის“ ნომინანტების დაჯილდოება გაიმართა.**

2025 წლის წარმატებული აფხაზეთელები სიმბოლური საჩუქრებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძემ,** აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **ბექა ღვაჩლიანმა** და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **თამაზ ხუბუამ** დააჯილდოვეს.

მიმდინარე წლის ნომინანტები გახდნენ:

**გურამ ოდიშარია** – ქართველი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, ათზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო პრემიის ლაურეატი;

**ილია თოფურია** – აფხაზეთიდან დევნილი ქართველი სპორტსმენი, UFC-ის ჩემპიონი;

**გაჩანა ჭანტურია** – ქორეოგრაფი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი;

**გიორგი ეთერია** – სოხუმში დაბადებული მხატვარ-მოქანდაკე;

**ელენე მიქაბერიძე** – აფხაზი რეჟისორი;

**დაურ ბუავა** – აფხაზი ბლოგერი;

**ანზორ კუდბა** – აფხაზი მწერალი, რომანებისა და მოთხრობების კრებულის ავტორი;

**თორნიკე ჯობავა** – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ირინა ხაბურზანია** – აფხაზეთიდან დევნილი ფეხბურთელი;

**სოფო ფანცულაია** – სოხუმელი ბალერინა;

**მურმან (მურო) გაგოშიძე** – ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ სოლისტი და ქორეოგრაფი.

პროექტი „მე, აფხაზეთისთვის“ ყოველწლიურ სახეს ატარებს, რომლის მიზანია, საზოგადოებამ გაიცნოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები აფხაზეთიდან.

* * *

**ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

# ტრაგედია ხონში – მძიმე ავარიას 16 წლის ბიჭი ემსხვერპლა



**ავტოსაგზაო შემთხვევას ხონის მუნიციპალიტეტში მსხვერპლი მოჰყვა. 16 წლის მოზარდი მოტოციკლს მართავდა და ელექტროზოძს შეეჯახა. არასრულწლოვანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.**

შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. ავარიის შედეგად დაღუპული ახალგაზრდა ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის მცხოვრებია.

# დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა

**საქართველოს პროკურატურამ ბათუმში მომხდარი დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების, ასევე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს ბრალდება წარუდგინა.**

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 25 ივნისს, ბათუმში, ერთ-ერთმა ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაზარალებულს ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

**„დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად, დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა.**

**მეორე ბრალდებულმა, რომელიც დანაშაულის ჩადენისას შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და იცოდა, რომ**



**ჩადენილი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, შემთხვევის ადგილი დატოვა და მომხდარის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.**

**სამართალდამცველებმა ბრალდებულები 28 ივნისს დააკავეს. ერთ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მეორე პირს ბრალდება 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით (განსაკურებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა“, –** წერია ინფორმაციაში.

# ავლაბარში მკვლელობა მოხდა, პოლიციამ დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ზ.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 29 ივნისს, ბრალდებულმა თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით – 1986 წელს დაბადებული გ.ბ. დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი გ.ბ. მიყენებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ზ.მ. მომხდარიდან მალევე დააკავეს.



**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს“. თვითმხილველების ინფორმაციით, ერთ-ერთი ვერსიით ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ლუდის მაღაზიაში, ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. შემდეგ კი 62 წლის მამაკაცმა, 39 წლის მამაკაცს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა.**



## თინათინ რუხაძე:

# სახელმწიფო არის გელათის რეაბილიტაციის მთავარი ლოკომოტივი!

**ძალიან ბევრი ძეგლია, რომელსაც აკეთებს სააგენტო, ძალიან ბევრ ძეგლს აკეთებს ფონდი „ქართუ“, – სახელმწიფო არის მთავარი ლოკომოტივი ამ ნაწილში დაფინანსების, მისი ხედვის და რეაბილიტაციის კუთხით. ძალიან ბევრი ძეგლია, რომელსაც აკეთებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და მათთვისაც დიდი გამოცდილება იქნება, ძალიან ბევრ ძეგლს აკეთებს ფონდი „ქართუ“,** – განაცხადა გადაცემაში „იმედის კვირა“ საქართველოს კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ** გელათის ტაძრის რეაბილიტაციის პროცესზე საუბრისას.

**„ჩვენმა სწორმა ურთიერთთანამშრომლობამ მოიტანა ის, რომ იუნესკოში იქნება ივლისში წარდგენილი დასკვნა. აღნიშნულია მთავრობის დიდი ძალისხმევა ძეგლის შენარჩუნების, გადარჩენის და შემდგომი რეაბილიტაციისთვის“...**



## ქართული ხელოვნება ლონდონის პრესტიჟულ აუქციონზე



**პირველად ისტორიაში, Bonhams – მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე პრესტიჟული აუქციონის სახლი, რომლის სათაო ოფისიც ლონდონშია დაფუძნებული – სრულ აუქციონს მხოლოდ ქართულ ხელოვნებას უთმობს.**

ქართველი მხატვრები, რომლებიც აღარ აღიქმებიან მხოლოდ საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილად, საბოლოოდ დაფასდნენ მათი ძლიერი შემოქმედებითობის, ხედვისა და იდენტობისთვის. იმ დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოება დაბრკოლებების წინაშე დგას, ქართული შემოქმედება თამამად არღვევს ყველა ბარიერს. როგორც ზემოთ მოყვანილ ციტატაში Reach Art Visual-ის დირექტორის, თეა გოგუაძე-აპფელის შეფასებაშია ნათქვამი!..

## ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლის ჩვენება თესალონიკში

**ბათუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი დასი თესალონიკის „კოლოსეონის“ თეატრში სპექტაკლით – „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ წარდგა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. საღამო ანშლაგით დასრულდა,** – ინფორმაციას აჭარის კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

წარმოდგენას, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ აჭარის კულტურის მინისტრი **ელისო ბოლქვაძე**, საბერძნეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ლევან ბერიძე**, გენერალური კონსული თესალონიკში **გელა ჯაფარიძე** და აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე **ირმა აბულაძე**.



## ოპერის თეატრის საბალეტო დასი რეგიონულ ტურს იწყებს

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი რეგიონულ ტურს იწყებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ავრცელებს.

**მათივე ცნობით, საქართველოს ქალაქებში – ბათუმში, ოზურგეთსა და სენაკში საქართველოს სახელმწიფო ბალეტი კლასიკურ საბალეტო პროგრამას წარუდგენს მაყურებელს.**

**14 და 15 ივლისი – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი;**
**17 ივლისი – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი;**
**18 ივლისი – სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრი.**




## 30 ივნისს ახალციხეში წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღე აღინიშნა

**ახალციხის მერიის ცნობით, წმინდა შალვა ახალციხელის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა ჩატარდა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ზაალ გელაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე დაესწრნენ.**

„ახალციხეობა 2025“ახალციხის ციხეზე გაგრძელდა, სადაც გაიმართა ადგილობრივი მეწარმეებისა და რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, დაჯილდოვდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიატები, ქალაქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება ადგილობრივი მხატვრული კოლექტივების კონცერტით გაგრძელდა.



# ზღაპრული დღე წალკაში

**KASS LAND გრანდიოზული ატრაქციონების პარკი 4 ივლისს ბავშვების მხიარულების ეპიცენტრად იქცევა. მხოლოდ ამ დღეს, 13:00-დან 17:00 საათამდე ყველა ბავშვს ექნება შესაძლებლობა, სრულიად უფასოდ ისარგებლოს პარკის ჯადოსნური ატრაქციონებითა და მათთვის სპეციალურად ორგანიზებული გასართობი პროგრამით.**

**KASS LAND -ი აგრეთვე სხვადასხვა ბავშვთა სახლების ბინადრებსაც უმასპინძლებს და მათ დაუვიწყარ დღეს აჩუქებს.**

წალკის კანიონის დაცული ტერიტორია საკულტო „ბრილიანტის ხიდით“, ებრაულ-ქართული საინვესტიციო ჯგუფის **KASS GROUP**-ს და სახელმწიფოს თანამშრომლობის შედეგად, რეგიონის სავიზიტო ბარათად იქცა. წალკის კანიონი 2025 წელს ორი მნიშვნელოვანი სიახლით – ატრაქციონების უზარმაზარი პარკითა და სასტუმრო კომპლექსით ხვდება. „დისნეი ლენდის“ პრინციპით გაშენებული ატრაქციონების ჯადოსნური პარკი **KASS LAND** საოჯახო გართობისთვის უკონკურენტო ადგილია.

**KASS LAND რეზორტი მოიცავს:**

**• ვიზიტორთა ცენტრს, კანიონში ჩასასვლელი თანმდევი ბილიკებით, რომელსაც ულამაზეს კასკადურ ჩანჩქერებამდე ჩაჰყავხართ; უნიკალურ შუშის ხიდს, შუაში დაკიდებული ბრილიანტის ფორმის ბარით; „ზაიკ ზიპლაინს“ და გიგანტურ საქანელას; ღია „გარდენსსა“ და დახურულ „დაიმონდ“ რესტორანს; ახლად გახსნილ 55-ნომრიან სასტუმროს, 3 „პენტჰაუზით“ და კანიონის პანორამული ხედით; სასტუმროს ტიპის 62 „ვილა ჰაუსს“;**



**ატრაქციონების პარკი მოიცავს:**

**30 მეტრზე მოწყობილ წყლის ატრაქციას; გიგანტურ სასრიალო ცისარტყელას; თოკების ლაბირინთს;**

KASS GROUP საქართველოში ტურიზმისა და ეკოტურიზმის მიმართულებით მსხვილ ინვესტიციებს 2016 წლიდან ახორციელებს. კანიონს დღემდე 250 000-ზე მეტი ვიზიტორი ეწვია. წლიური ზრდის მაჩვენებელი კი 20-25%-ს აღწევს. ობიექტი ყოველდღიურად დაახლოებით 1000 ტურისტს მასპინძლობს. 2016 წლიდან დღემდე, **KASS** ჯგუფის ინვესტიციამ საქართველოში 200 მილიონ ლარს გადააჭარბა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 4 ივლისს**